რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 5 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და სადგურებზე ორიოდე მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ერთ სათამდე 5 მანეთი, ხოლო ერთის შემდეგ—8 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 88 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 88

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

სადგურ სარიყამიშის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტი მთელი რაიონის მოსამსახურეთა სახელით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ ამავე სადგურის „ვესოვშჩიკის“ ამხანაგ

თეოდოსი ბურჯანაძის

ტრაღიკულათ დაღუპვას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ ობჩაში, ხუთშაბათს, 6 ივლისს, წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტი ამით აუწყებს ამხანაგებს და მეგობართ, რომ სარიყამიშში ტრაღიკულათ დაღუპულ ამხანაგ

თეოდოსი ბურჯანაძის

დასაფლავება მოხდება სოფელ ობჩაში, ხუთშაბათს, 6 ივლისს, წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე.

გულდამწვარი დედ-მამა ქრისტეფორე და კესო მიქაშავიძენი, ძმები: აკაკი, ნოე, გერმანე, გიორგი და ალიოში, ბიძები: ალექსი, მიხაკო, კოსტა მიქაშავიძეები და რძლები: თეოდორა და რისიმე მიქაშავიძისანი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ვასილ ქრისტეფორეს ძე მიქაშავიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2 ივლისს თფილისში. მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ფარცხნას (ქვემო იმერეთი). დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 6 ივლისს.

გულ დამწვარი მშობლები: სონა და შაქრო, დები: ოლღა, თამარა და ძმა ვანო ხახაშვილები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ვარინკა ზაქარიას ასულის ღვთისავრიშვილისას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ნახ. საათზე. უკანასკნელ გამოთხოვების დღედ დანიშნულია ოთხშაბათი, 5 მკათათვე. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 9 საათზე. მარინის ქუჩა (ავლაბარი) № 11, წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, რომლის გალავანშიაც მოხდება დაკრძალვა.

ქალაქ სარიყამიშში 22 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ტიფით გარდაიცვალა მუდამ ჟამს დაუვიწყარი ჯარის-კაცი

ჯაბა ესოფის ძე ჩხაიძე

რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობ ამხანაგებს უღრმესი მწუხარებით გულმოკლული (ცოლის ძმა) თეოფანე დავითის ძე ქანთარია.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

მოქალაქენო ოქროს მჭედლებო და მესაათებო!

ხუთშაბათს, 6 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ხელოსანთა საზოგადოების შენობაში დანიშნულია საერთო კრება, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ასარჩევათ. რადგან ეს კრება ძლიერ საყურადღებოა, ვთხოვთ ყველას დაესწრონ.

თუ რომ მესაათეები კრებაზე არ გამოცხადდებიან იმ შემთხვევაში ისინი არ ჩაითვლებიან კავშირის წევრებათ.

კომისია.

თფ. საარჩევნო კომიტეტისა და თფ. ქალაქ. სამმართველოსაგან მომავალ საბჭოს არჩევნების შესახებ.

24—28 ივნისს მიცემული განცხადებანი, საარჩევნო სიაში გამორჩენის ან უწესრიგობის და შეცდომების შესახებ, საარჩევნო კომიტეტის მიერ გაირჩა 29, 30 ივნისს, 1, 2 და 3 ივლისს. თუ ამ ხნის განმავლობაში განცხადების შემტანთ არ მიუღიათ საარჩევნო კომიტეტისაგან რაიმე ცნობა ან და არ იქმნა დაკმაყოფილებული მათი პროტესტი თუ საჩივარი, იმ შემთხვევაში ზემო აღნიშნულ პირთ ნება აქვთ სამი დღის ე. ი. 4, 5 და 6 ივლისის განმავლობაში პროტესტით და საჩივრით მიმართონ საოლქო სასამართლოსთან არსებულ ადმინისტრატიულ სასამართლოს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია ყველა საჩივარი განიხილოს 7, 8, 9, 10, და 11 ივლისს. ამის შემდეგ უკანასკნელად შესწორებული საარჩევნო სიები გამოცხადდება 12 ივლისს. ის პირები, რომელნიც არ იქნებიან შეტანილნი ამ სიებში ან და არჩევნების მოხდენამდი დაჰკარგვენ ხმის მიცემის უფლებას (იხ. სტ. 4 და 5) არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ (იხ. სტ. 12) უკანასკნელათ შესწორებული სიები ორი კვირის განმავლობაში ე. ი. 12-ან 26 ივლისამდე იქნება წარდგენილი საყოველთაო განსახილველად.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

ხაშა ჩიგოგიძეს.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანთ

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

პუშკინის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტასელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ჭეჟხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქუთაისი.

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაჭრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკესი რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
9. ეგვიპ წიგნაკი ქართულათ	20 „
10. ოთხი ძმა ქართულათ	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულათ.
2. დამფუძნებელი კრება თათრულათ.
3. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან.

ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

პოლიტიკური რეფორმა გერმანიაში.

გერმანიის პოლიტიკური ცხოვრება ირყევა. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და სამ წლიანმა იმპერიალისტურმა ომმა შექმნა ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები, რომლის მეოხებით გერმანიის მონარქი და პრუსიის იუნკრები იძულებულნი გახდა პოლიტიკური რეფორმების გზას დადგომოდენ და უფლება მოკლებული ხალხისთვის დემოკრატიული საარჩევნო უფლება მიეცათ.

ოფიციალური დეპეშათა ცნობით გერმანიის დედა ქალაქ ბერლინში იმპერატორ ვილჰელმ მეორემ მანიფესტი გამოსცა, რომლის ძალითაც პრუსიის მცხოვრებთ პრუსიის ლანდტაგში საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება ეძლევათ.

გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ასეთი მანიფესტის გამოცემა დიდ რეფორმათ უნდა ჩაითვალოს. პრუსია მთელი გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრათ უნდა ჩაითვალოს, პრუსიის სამეფო გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მთავარ როლს თამაშობს და აქ იქმნება ის პოლიტიკური რეაქცია, რომელზედაც დაყრდნობილია მთელი გერმანიის მონარქიული, იუნკრული და იმპერიალისტური პოლიტიკა.

ამიტომაც იყო გერმანიის არქირეაქციონერი და ტიპიური კონსერვატორი ყოფილი სახელმწიფო კანცლერი ბისმარკი მთელი თავის ძალღონით ცდილობდა პრუსიაში და განსაკუთრებით კი პრუსიის ლანდტაგში რეაქციონური კლასები გაებატონებია და ლანდტაგის არჩევნები არქაიულ საარჩევნო სისტემაზე დაემყარებია.

ბისმარკმა პრუსიის ლანდტაგში სამსართულიანი საარჩევნო წესი გააბატონა და პრუსიის 30 მილიონი მცხოვრებნი თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ერთი მუჭა აგრარიებისა და მსხვილ მემამულეების ბატონობას განიცდიდენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელი დასახელებული ხნის განმავლობაში მედგრათ იბრძოდა პრუსიის საარჩევნო წესის შეცვლის შესახებ და თავიანთ პარტეიტაგებზე თითქმის ყოველწლივ რეზოლიუციები გამოუტანია ცენზიან საარჩევნო უფლების გაუქმების გამო.

მაგრამ პრუსიის რეაქცია, მისი ჯავშნიანი მუშტი მედგრათ მოქმედებდა და სოციალ-დემოკრატების სამართლიან მოთხოვნას გასავალს არ აძლევდა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ცალმხრივ იმპერიალისტური ომი, მეორე მხრივ რუსეთის დიდი რევოლიუცია ისე ძლევამოსილი შეიქმნა, რომ პრუსიის რეაქციის ჩინური კედლები უნდა შერყეულიყო და მისი სიძლიერე უნდა აუცილებლათ დაცემულიყო. საზოგადოთ ომმა და მეზობელ სახელმწიფოებში მომხდარმა რევოლიუციამ ყველა რეაქციონურ სახელმწიფოებში ხალხის განთავისუფლებელი მოძრაობის გამოწვევა იცის და ამ აუცილებლობას ვერ ასცდა პრუსიის რეაქციაც.

სამი წლის მსოფლიო ომის საშინელებამ გერმანიის დემოკრატია ეკონომიურათ და კულტურულათ დააზიანა, ახლა გერმანიის რეაქციონური მთავრობის და იმპერიალისტთა პოლიტიკის საშინელება გერმანიის მუშათა კლასს მთელი თავისი სიმახინჯით თვალ წინ გადაეშალა და მისი წინააღმდეგობითი ძალა საგრძნობლათ გაიზარდა. ამას ზედ დაემატა რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომელმაც მთელი ქვეყნის დემოკრატია შეარყია და ყველას თვალები აუხილა. ამ შემთხვევამ ყველაზე დიდი გავლენა გერმანია ავსტრიის მუშათა კლასზე მოახდინა. ავსტრიაში უკვე სამინისტრო კრიზისი მოხდა და ავსტრიის ნახევრათ აბსოლიუტური და ფეოდალური მთავრობა დათმობის გზას დაადგა. გერმანიაში—ამ ბისმარკის რკინის რეაქციის ქვეყანაშიაც რუსეთის რევოლიუციამ თავისი სხივები შეაშუქა და იქაც ხალხის დიდი ხნის სამართლიან მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიეს.

გერმანიის რეაქციის შერყევა ისე ადვილი საქმე არ არის, როგორც რუსეთის ძველი მთავრობის დამარცხება. იქ ეკონომიურმა და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებამ ერთიმეორის მოწინააღმდეგე კლასი—პროლეტარიატი და ბურჟუაზია უდიდესათ [illegible] გერმანიის რეაქციას მთელი [illegible] პოლიტიკური და ეკონომიური [illegible] ხელთ აქვს და მისი პოლიტიკურ ნიადაგ[illegible] პროლეტარიატიდან დიდ მომზადება-ორგანიზაციას მოითხოვს და პროლეტარიატის გამარჯვებას დიდი შედეგები მოყვება. და აი—გერმანიის რეაქციის თავისი პოზიციიდან დაძვრას ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილება სჭიროდა. ეს ორი გარემოება უკვე მოხდა: მსოფლიო ომი და რუსეთის დიდი რევოლიუცია: ამ მოვლენებმა შეარყია პრუსიის რეაქცია და უკანასკნელიც დათმობის გზას დაადგა. ჩვენ არ ვიცით ვილჰელმის მანიფესტი მარტო პრუსიის ლანდტაგის საარჩევნო უფლების გადემოკრატებას შეეხება, თუ მას ფართო პოლიტიკური ხასიათი აქვს. ყოველ შემთხვევაში გერმანიის პროლეტარიატმა პრუსიის რეაქცია შეარყია და იმედია პირველი ამით არ დაკმაყოფილდება და ამ უფლებას იგი ფართოთ გამოიყენებს. ამიერიდან გერმანიის პროლეტარიატს საშუალება მიეცემა რუსეთის გაკვეთილით ისარგებლოს და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ფართე მაშტაბით დაიწყოს.

პრესა.

ჩვენს მეუმრავლესეებს ქუთაისის პროლეტარიატი და საზოგადოთ ქუთაისური ჩვენი მომხრენი საეჭვო ღირსების ელემენტებათ მიაჩნიათ, რა თქმა უნდა, თავიანთი სოციალისტური „თვალთახედვის“ ისრით. ვინც წაიკითხავს კვირის „ბრძოლაში“ ევგენი გეგეჭკორის წინადადებით მოთავსებულ წერილს, ამას აშკარათ შეამჩნევს. გაზეთს ბაგეზე ღიმშერეული სიცილი ადგება, როცა სწერს:

„ქუთაისის „პროლეტარიატის“ წარმომადგენელი ევგენი გეგეჭკორი პეტერბურგის ამხანაგ მუშების და სალდათების ხელს, რომელმაც რუსეთის ცარიზმი დაამხო და მის ნანგრევებზე დიადი რევოლიუციის წითელი დროშა აღმართა, ტალახიანს უწოდებს“.

არსებითად ჩვენ აქ საკითხს არ შევეხებით. დეე თვით ევ. გეგეჭკორმა გასცეს მათ შესაფერი პასუხი საერთოდ წერილზე, თუ ამას ის საჭიროთ დაინახავს. ვიტყვით მხოლოდ, რომ როცა „ტალახიან ხელებს“ ამბობდა გეგეჭკორი მას სახეში ჰყავდა არა „პეტროგრადის 150 ათასი ყველაზე უფრო შეგნებული პროლეტარიატი“, არამედ იმ შეთქმულობის მეთაურები, რომლებიც პეტროგრადის პროლეტარიატს, ფარულად, საიდუმლოებით მოცულ პირობებში ქუჩისკენ მოუწოდებენ. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ვიკითხოთ: ქუთაისის პროლეტარიატი არ არსებობს, ის საეჭვო ღირსებისაა,—თუ ევგენი გეგეჭკორი არ შეიძლება ჩაითვალოს მის წარმომადგენლათ?! ეს ერთი ხანია „ბრძოლა“ და ჩვენი მეუმრავლესეები რაღაც ზევიდან უცქერიან ჩვენს მომხრე ხალხს—ვერ ხართ რიგიანი სოციალისტები. ამავე დროს ოფლში იწურებიან, ცდილობენ რაიმე ნაირათ ერთი—ორი კაცი ხელიდან გამოგვგლიჯონ და „წმინდა სოციალისტური“ „ბოლშევიკური“ ორგანიზაცია შექმნან! თუ ეს ჩვენი აზრი შემცდარია, მაშ, ვისთვის იბეჭდება „ბრძოლა“? „პეტროგრადის 150 ათას ყველაზე უფრო შეგნებულ პროლეტარიატისათვის“?! ბევრს კითხულობენ „ბრძოლას“ და „კავკაზსკი რაბოჩის“ პეტროგრადში, არა?! ნუ თუ იმით უნდა გამოგვიყუროთ ყურები, რომ მუდამ ლენინელებს მიჩანჩალებთ კუდ-

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლა უმთავრესათ მდ. ლომნიცის ფრონტზე სწარმოებს. როგორც ირკვევა, აქ ავსტრიელებს მაშველი ჯარები მოსვლიათ და ჩვენი ჯარის წინსვლას აფერხებენ. გერმანელებმა დასახელებულ ფრონტის ზოგიერთ ადგილებში სახელდობრ როზნატოვას რაიონში იერიშები მოიტანეს და რუსის ჯარს უკან დაახევიეს.

დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

რუმინია კავკასიის ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

საფრანგეთის ასპარეზზე მდ. მაასის ფრონტზე გერმანელებმა საერთო იერიშების მიტანა გააცხოველეს და ფრონტის სხვა ადგილების მძიმე არტილერიიდან ყუმბარებს უშენენ. მორტომ-ავოკურის რაიონში კვლავ ცხარე ბრძოლა იწყება. აქ გერმანელები ძველებურათ გაფთრებულ საარტილერიო ბრძოლას იწყებენ.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

[illegible] ჩვენ არ მიგვაჩნია დასაძრახისათ რომელიმე მიმდინარეობის მოძრაობა, მაგრამ ამისათვის სახელსაც უნდა ატარებდეთ. ჩვენი მეუმრავლესეები—ეს ლენინელების მაჩანჩალები, ჩვენთან ტრაბახობენ იმგვარი რიხით, თითქო ლენინი და პეტროგრადი მათი მიმდევრები იყვნენ! დასასრულ არ შეგვიძლია ერთი ადგილიც არ მოვიყვანოთ „ბრძოლიდან". გეგეჭკორმა სთქვა თურმე ყრილობაზე ნდობა გამოეცხადოს დროებით მთავრობასო. „ბრძოლა" ასე „აფასებს" ამ ამბავს:

„გეგეჭკორმა ამით მტაცებელთა ხროვის კაპიტალისტების და მემამულეთა ყურადღება სრულიად დაიმსახურა და ალბათ ამისთვის მათგან შესაფერ მადლობასაც მიიღებს: თავზე ხელის გადასმით როგორც მეშვიდე „სოციალისტ" მინისტრის დაფნის გვირგვინით შუბლს შეუმკობენ".

ვერ არის კარგი სოციალისტი გეგეჭკორი, არა?!

ერთი ავსტრიელი ბარონი ამბობდა თურმე: კაცი ის არის, ვინც ბარონიაო.

ასე მსჯელობენ ჩვენი ბოლშევიკებიც: სოციალისტი ის არის, ვინც „ბოლშევიკიაო".

* * *

მოსკოვის საქალაქო არჩევნებში სოციალისტ რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს, ამ მოვლენას გაზეთები სხვადასხვა ნაირათ აფასებენ. მაგ. „რუსკია ვედომოსტი" ამაში სოციალისტური იდეების გამარჯვებას არ ხედავს, არც საქალაქო საქმეებით არიან იმდენათ ეს ამრჩევლები დაინტერესებული გაზეთის თქმით. აქ არჩევნების ბედი მიწის საკითხმა გადასწყვიტა. სოციალისტ რევოლუციონერები ამრჩევლებს მიწას ჰპირდებიან, ამისთვის ამრჩევლებიც მათ ხმას აძლევენ. გაზეთის სიტყვით,—არა თუ ქალაქში მცხოვრები გლეხი, არამედ—ქალაქის მუშა, ქალაქში მოვაჭრეც სოფლისკენ იცქირებიან მიწის მისაღებათ. ადგილობრივ სოციალისტ-რევოლუციონერთა „ზნამია ტრუდა" კი სწერს:

„ამ გამარჯვების მიზეზი პარტიის ცოცხალი ლოზუნგებია. პარტია არასოდეს ანგარიშს არ უწევდა დოგმას. ის რუსეთის ცოცხალ სინამდვილის დასავლეთ ევროპის მზა მზარეულ სქემაში მოთავსებას არ ცდილობდა. ის ყოველთვის ანგარიშს უწევდა რუსეთის ცხოვრების სინამდვილეს და თავის სოციალისტურ სისტემს რეალურ ნიადაგის საფუძველზე აშენებდა".

აქ სოციალისტ-რევოლუციონერები ძველ ამბავს იმეორებენ: რუსეთის სოფელში კაპიტალიზმი არ ვითარდება, ის თავისებური, რუსული გზით წავა და ასე შევალთ სოციალიზმის სამეფოში. ამ გზაზე იდგნენ ისინი ადრეც, მაგრამ ცხოვრების მსვლელობამ ბევრჯელ აიძულა ისინი გზიდან გადაეხვიათ: ევროპის „მზა-მზარეულ სქემაში" ბევრი მათ მიერ უარყოფილი დებულებები მოთავსდა და შორს არ არის ის დრო, როცა სოც.-რევოლიუციონერებშიაც ჭეშმარიტებათ იქნება აღიარებული სოფლად კაპიტალიზმის განვითარების კანონი.

კონტრ-რევოლიუცია.

კონტრ-რევოლიუციონერები ჩვენშიაც მუშაობენ. მუშაობენ ისე, როგორც რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე, მხოლოდ განსხვავება ერთშია: რუსეთში ჯერ-ჯერობით კარგი ნიადაგი აქვთ მათ, ჩვენში კი, ამ მხრით მათი მუშაობა ვერ არის მაინცა და მაინც ისე ნაყოფიერი. მიუხედავათ ამისა, მაინც განაგრძობენ „მუშაობას". ჩვენმა კორესპონდენტმა ბაკურიანიდან ამ დღეებში ერთი ფურცელი მოგვაწოდა. ასეთ ფურცლებს თურმე იქ ავრცელებს უმთავრესად ერთი მღვდელი, როგორც ღვთის სიტყვას. მოწოდების სათაური—„ღვთისა გეშინოდენ"!. მოწოდების შესავალი ასეთია: „მოწყალე ღმერთი თვით მზრუნველია კაცთა ბედნიერებისა და ანიჭებს მათ, რაიცა საჭიროა ბედნიერებისათვის ქვეყანასა ზედა და ცათა შინა, შემდგომ თითოეულ ჩვენგანის სიკვდილისა". ეს არის შესავალი. აქ გვეუბნებიან—ყოველთვის „მოწყალე ღმერთი" მოგვცემს თუ მისი გვეშინია, სხვა საჭირო არაფერი არ არისო. მოწოდების თქმით „ჩვენი წინაპარნი იცავდენ წმინდა სარწმუნოებას, დიდათ აფასებდენ მას, უყვარდათ ლოცვა, აშენებდენ ეკლესიებს და მონასტრებს და პატივს სცემდენ ღვთის მსახურთა. ღმერთმაც აკურთხა მრავალ-ტანჯული ჩვენი ერი და იგი არ დაღუპულა, როგორც სხვა ერნი. მაგრამ აი გამოჩნდენ ახალ-ახალი მასწავლებელნი, რომელნიც აშფოთებენ ჩვენს მორწმუნე ხალხს სიტყვითა და უსახელო წერილებით აღუთქვამენ ხალხს ბედნიერებას, იზიდავენ გამოუცდელ პირებს და სურთ აქციონ ისინი მოწინააღმდეგებათ ღვთისა, ეკლესიისა და კანონიერ უფლებისა". აი, ამას ეწოდება ბნელი საქმეების კეთება! დღეს რევოლიუციამ აღიარა სინდისის, რწმენის თავისუფლება. რას მოითხოვს ის „ახალ-ახალ მასწავლებელთაგან", იმას ხომ არა, რომ მათ იარონ ხალხში და იქადაგონ: ილოცეთ, მღვდლებს დრამა—საკურთხი აძლიეთო და სხ. დიახ, ვისაც როგორ სურს, ვისაც როგორ სწამს, ის ილოცოს! რამდენიც სურს იმდენი აძლიოს მღვდელს და სხ.

შემდეგ ჩამოთვლის ყველა იმ უბედურებას, რაიც კი სადმე ხულიგნებს, საზოგადოების ნაძირალებს ჩაუდენიათ ეკლესიების მიმართ და ამბობს: „ასეთი პირნი [illegible] თქვენ ბედნიერებასა და კმაყოფილებას?" აშკარაა, მოწოდება—ფურცელს წმინდა კონტრ რევოლიუციონური სული უდგას. მისი მიზანია—ხალხში არევ დარევის შეტანა, მოძრაობის მეთაურთადმი და თანაგრძნობადმი ხალხის თვალში სახელის გატეხა. აი რას ემსახურება ის. ვინც ახალი წყობილების მომხრეა იმისთვის აშკარაა, რომ ასეთი ხულიგნური მოქმედებას, როგორიც მოწოდებაშია აწერილი რევოლიუციისთვის ათასჯერ მეტი ზიანი მოაქვს, ვინემ ეკლესიებისთვის. ამიტომ ისინი ჭეშმარიტად არიან „მსახურნი სატანისა და ძენი წარწყმედისა", ასეთივეა თვით მოწოდების ავტორიც, რომელიც თავისი მოწოდებით ხალხის არევ დარევას, მასში ახალი წყობილებისადმი ურწმუნოებას ავრცელებს. კონტრ რევოლიუციონერები ჩვენში მოღვაწეობენ ჩუმად, შეუმჩნევლად. მართალი იყო კერენსკი, როცა სთქვა: კონტრ-რევოლიუცია აშკარათ, ხელში მეფის სურათით არ გამოცხადდებაო.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 3—4 ივლისი).

ვანდერველდეს აზრი რუსეთის შესახებ.

პარიზი. „პტი პარიზიენში" მოთავსებულია ვანდერველდეს აზრი რუსეთის მდგომარეობის შესახებ. გაზეთი სწერს: „რუსეთში, უკიდურეს მემარცხენეთა გარდა, არავინ ფიქრობს ზავზე ომის უარყოფით. არავის უნდა რევოლიუცია უიარაღოთ დასტოვოს შეიარაღებულ კაიზერის წინაშე. ყველა ისწრაფის მოგერებითი და შეტევითი ძლიერება ჯარისა გააძლიერონ. ვანდერველდე აქებს რუსის ჯარს და დასძენს, რომ ეს ჯარი დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებასო".

უკრაინის ავტონომია.

კიევი (დაგვიანებულია). აღმასრულებელ კომიტეტის საზოგადო ორგანიზაციებისა, საბჭოების დეპუტატებისა, სტუდენტებისა და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლების შეერთებულ სხდომას დაესწრენ მინისტრები: კერენსკი, წერეთელი და ტერეშჩენკო. წერეთელმა აღნიშნა, რომ ნაციონალური თვითგამორკვევის ფორმების გამომუშავება უნდა მიენდოს დამფუძნებელ კრებასო. მთავრობას ჯერ ჯერობით საჭიროთ მიაჩნია შექმნას უკრაინის საოლქო ორგანო უკრაინის ავტონომიის პროექტის მოსამზადებლათო. (ცხარე ტაში).

კერენსკი მოუწოდებს ერთობის განსამტკიცებლათ და ურჩევს დაიხსნან ჯარი დანაწილებიდან. აგრეთვე აღნიშნავს, რომ მთავრობა დასთანხმდა შემდგინოს უკრაინელი ჯარები. შემდეგ ილაპარაკეს ტერეშჩენკომ და პარტიების წარმომადგენლებმა. ტერეშჩენკო და წერეთელი დაბრუნდენ პეტროგრადში—კერენსკი კი წავიდა ფრონტზე.

ბეტმან ჰოლვეგის გადადგომა.

სტოკჰოლმი. ვოლფის სააგენტო ადასტურებს ბეტმან ჰოლვეგის გადადგომას.

ძარცვა.

ეკატერინოდარში. ბოროტ განზრახველებმა გაძარცვეს საკრედიტო ამხანაგობა ბერიოზოვის ქონებისა. მოკლეს ყარაული, მისი ცოლი და მცირე წლოვანი ბავშვები. ფული ბლომათ გაიტაცეს.

თავისუფლების სესხი.

სარატოვი. მუშათა და ჯარისკაცთა სამხედრო სექციამ მოწოდება გამოუშვა და მოუწოდებს ყველას თავისუფლების სესხზე მოაწერონ ხელი. [illegible] მოწერის ხელი 20,000 მ. ნ. სოფ. რაიონში 95 000 მ. ნ.

მეფქვილეთა ყრილობამ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას ხორბალზე მაგარი ფასების გადიდების შესახებ მოსავლის მიხედვით.

ჩხრეკა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სურსათის აღმოსაჩენათ მოხდენილმა ჩხრეკამ არაფერი შედეგი არ მოგვცა, თუმცა ჩხრეკა ფართოთ იყო მოწყობილი. დააპატიმრეს რამოდენიმე ორატორი, რომლებიც დარბევას ქადაგებდნენ. ოთხი დღით აკრძალეს დემონსტრაციები და ქუჩის მიტინგები. ქუჩებში დადიან პატრულები, რომ ხელი შეუშალონ თვითნებობას.

ომის დეპეშები

პეტროგრადი. 3 ივლისი. დასავლეთის ასპარეზზე, მდ. ლომნიცას ქვემო ნაწილებში საარტილერიო სროლაა. კალუშის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა სასტიკი იერიშების მიტანა დაიწყეს და ჩვენი ჯარის მდ. ლომნიცის აქეთ გადმორეკა მოინდომეს. გაიმართა დაუნდობელი ბრძოლა. ამ შეტაკების დროს კინბურნის პოლკის უფროსი დაიჭრა, მაგრამ ბოლოს მაინც მტერი მოვიგერიეთ. სასტიკი ბრძოლა გაიმართა ლიანდესტრაფრასნეს ფრონტზე. აქ 2 ივლისს ავსტრიის ჯარს უკან დავახევიეთ. მაგრამ მათ მალე მაშველი ჯარი მოუვიდათ, სოფ. როზნაცოვიდან იერიშები მოიტანეს და ჩვენ ჯარს უკან დაახევინეს. 2 ივლისის ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 160 აფიცერი და 900 ჯარისკაცი. 17 ივნისიდან მოყოლებული 2 ივლისამდე ტყვეთ წამოვიყვანეთ 834 აფიცერი და 35800 ჯარისკაცი; ხოლო ხელთ ვიგდეთ 93 მძიმე და მსუბუქი ზარბაზანი, 403 ტყვიის მფრქვეველი, 44 ნაღმისა და 45 ყუმბარის მტყორცნელი და მრავალი საომარი მასალა.

რუმინიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

კავკასიის ფრონტზე, მიუშიშის სამხრეთ-დასავლეთით ოსმალთა იერიშები მოვიგერიეთ. პენჯვინის მიმართულებით, არამსის რაიონში ოსმალთა იერიშები შევაჩერეთ.

პარიზი. 2 ივლისი. კურსის სამხრეთით გერმანელებმა იერიშები მოიტანეს. ოტკესკის რაიონში, „304" მაღლობთან საარტილერიო სროლაა. რეიმს 2 ათასი ყუმბარა ესროლეს.

პარიზი. 2 ივლისი. სენის დასავლეთით საარტილერიო სროლა დაიწყო, რომელმაც მთელს ღამეს გასტანა. აქ მტერმა გაფთრებული იერიშები მოიტანა და ჩვენი სანგრების ერთი ნაწილი დაიკავა. მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და მტერი იძულებული გავხადეთ ზოგიერთი სანგრები დაეტოვებინა. განსაკუთრებით საარტილერიო სროლა გაცხოველდა კრაონის გასწვრივ. შამპანში ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელების პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ. მონგონის ჩრდილოეთით 300 მეტრის მანძილით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 9 აფიცერი და 360 ჯარისკაცი. მდ. მაასის მარცხენა ნაპირას, „304" მაღლობთან საარტილერიო სროლაა. მორტომის დასავლეთით გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. ავოკურის ტყესთან, მოწინავე რაზმები იბრძვიან.

ლონდონი. 1 ივლისი. ინგლისის საზღვაო უწყების ცნობით ატლანტის ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა სატრანსპორტო გემი „არმადელი".

ლონდონი. 2 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. 1 ივლისს გერმანელების [illegible] აეროპლანი ჩამოვაგდეთ. საჰაერო ბრძოლის დროს ჩვენ დავკარგეთ 7 აეროპლანი.

რომი. 1 ივლისი. ჯუდის ველზე, ჩვენმა რაზმმა მტრის საყარაულო გაანადგურა და იქიდან ტყვეები წამოიყვანა. ტრავენიოლის ველზე ჩვენმა არტილერიამ მტრის რაზმები გაფანტა.

ახალი ამბები

სამზადისი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან ორ ივლისს შესდგა კომისია, რომელიც მომავალი დამფუძნებელი კრების არჩევნებს უხელმძღვანელებს. კომისიაში შედიან კავკასიის ჯარების, მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრების წარმომადგენლები, ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ქალაქის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის წარმომადგენლები და აგრეთვე ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლები. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ თავმჯდომარეებათ: ალ. ლომთათიძე, ა. ხატისოვი, ა. მ. ტომჩიაშვილი. მდივნებათ: დ. გაჯინსკი, ვ. ფ. ხ ხანოვი და მაკინიანცი. კომისიამ დაადგინა: გაიყოს მაზრები საარჩევნო. რაიონის შემადგენლობაში შედის ერთი სოფელი, თუ ვინიცობაა, სოფელში ორი ათასზე მეტი მცხოვრებია, იმ შემთხვევაში საარჩევნო რაიონი იყოფა რამდენიმე საარჩევნო ოლქად. ასეთ შემთხვევაში ცალკე საარჩევნო ოლქათ გამოყოფა შესაძლოა თუ მასში ორი ათასი ამრჩეველი იმყოფება. თუ რომ საარჩევნო ოლქში სამასზე მეტი ამრჩეველი არ არის, იმ შემთხვევაში ასეთი ოლქი უერთდება სხვა სოფლებს. სოფლების შეერთება მაშინ შეიძლება, თუ ისინი 2—3 ვერსზე მეტი მანძილით არ არიან დაშორებული ერთმანეთისაგან. ეს განკარგულება უნდა დაეგზავნა სამაზრო კომისარიებს. კომისარებს დავალებული აქვთ ზემო მოყვანილის თანახმად სასოფლო კომიტეტებთან ერთად გამოიმუშაონ მაზრების დაყოფის გეგმა, რაიც უნდა აცნობონ საგუბერნიო კომისარს და ამიერ კავკასიის კომისიას. საარჩევნო სიების შედგენის შესახებ ცალკე ეცნობება კომისარებს. ქალაქებში ის საარჩევნო რაიონები დარჩებიან, რაც საქალაქო არჩევნების დროს იყო. აუცილებელი ხარჯები ხაზინიდან იქნება ანაზღაურებული, ჯერ-ჯერობით კი, ადგილობრივი წყაროებიდან უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

◆ **სოხუმის ქალაქის არჩევნებში სოციალ დემოკრატებმა გაიმარჯვეს.**

◆ **საქალაქო არჩევნები.** 2 ივლისს შესდგა ცენტრალური სოც.-დემოკრატიული საარჩევნო კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე სოც. დემ. პარტიული ორგანიზაციათა წარმომადგენლები კრებამ გაარჩია მომავალი არჩევნებში შეთანხმების საკითხი სოც. რევოლიუციონერებთან, სოციალ დემ. ჰნჩაკისტებთან და „ბოლშევიკებთან". სოც. რევოლიუციონერებთან შეთანხმება არჩევნებში კრებამ უარყო. ჰნჩაკისტებს საერთო სიაში ორი ადგილი დაეთმობათ. დაადგინეს წინადადება მიეცეს „ბოლშევიკებს" მეორე ს. დ. სიის არჩევნებში ნუ წამოაყენებენ, ვინაიდან ეს არჩევნებში არევ-დარევას შეიტანს, საჭიროა სოც.-დემოკრა-

ცოტა რამე ინტერნაციონალის ისტორიიდან.

(ციმმერვალდი).

1914 წ. ოთხ აგვისტოს (ახალი სტილით) გერმანიის და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ არამც თუ ხმა მისცა სამხედრო ბიუჯეტს, არამედ მთელი თავისი სიძლიერით ჩაება სამშობლოს დაცვის საქმეში და თავიანთი ქვეყნის გამარჯვების საქმე თავის მიზნად დაისახა. ორივე პარტია, როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ის მხოლოდ თავს იცავს და არას გზით არ სწყურია სხვისის სამშობლოს აწიოკება. ვინც ოდნავ მაინც ადევნებდა თვალყურს სოციალისტურ პარტიების მუშაობას ევროპაში ომამდის, მისთვის აშკარა ჭეშმარიტებას წარმოადგენს შემდეგი დებულება: ინტერნაციონალის ყველა სექცია საჯაროთ ქადაგებდა იმ აზრს, რომ თუ სამშობლოს დაეცა გარეშე მტერი, ის მას დაიცავს იარაღით ხელში. მართალია, ერთი თვით ომის წინ მოხდა საფრანგეთის პარტიის ყრილობა. ამ ყრილობაზედ ჟორესი იცავდა იმ აზრს, რომ თუ ომის საფრთხე მოსალოდნელი გახდებოდა, მუშებს გამოეცხადებინათ საყოველთაო გაფიცვა. მაგრამ ეს გაფიცვა მისი აზრით ორ მიზანს მიაღწევდა. ერთის მხრივ ის დააფრთხობდა ბურჟუაზიულ მთავრობას და მის საგარეო პოლიტიკას აგრესიულ (შეტევითი) ხასიათს დაუკარგავდა. მეორე მხრივ, გაფიცვის ზედგავლენით სათანადო მთავრობები იძულებულნი გახდებოდენ საერთაშორისო სადაო კითხვები სამედიატორო სასამართლოსთვის გადაეცათ. მთავრობა, რომელიც ზურგს შეაქცევდა სამედიატორო სასამართლოს, იქნებოდა ომის მიზეზი და მთელი ქვეყანა ამ მთავრობას უნდა დასხმოდა. საფრანგეთის მარქსისტების (გედისტების) აზრით, ჟორესის ტაქტიკა დამღუპველი უნდა გამხდარიყო მუშათა მოძრაობისთვის. რადგანაც მთელი ევროპის მუშების გაფიცვა შეუძლებელი იყო და თუ კი გაიფიცებოდა სოციალისტურად მოწინავე ქვეყნის მუშები, ამით ისარგებლებდა უფრო ჩამორჩენილი ქვეყნის მთავრობა, უებრად მოაგროვებდა ჯარს და მუსრს გაავლებდა წინ წაწეულ და კულტურულ სახელმწიფოს.

ომის დაწყებისვე შეეცადა რუსეთის სოციალისტური ემიგრაცია და მასთან ერთად ინტერნაც. წვრილი პასუხი გაეცათ შექმნილ მდგომარეობისთვის, ერთნაირი ახსნა-განმარტება მიეცათ მომხდარ ფაქტებისთვის. ლენინის და მისი მიმდევრების აზრით, ინტერნაციონალის სექციებში ნაციონალისტური მიდრეკილების გამეფება გამოიწვია მეთაურების ღალატმა. Вожди измѣнили. მეთაურების ღალატი კი აიხსნება მათი წვრილ ბურჟუაზიული სულის კვეთებით, რეფორმისტული თეორიით და პრაქტიკით. მათი აზრით, როგორც გერმანიის, ისე საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიები რეფორმისტების ხელში იყო. ამნაირათ, რეფორმისტების სიაში ჩარიცხულ იქნა, როგორც მარქსიზმის დოქტრინიორი ჟულ გედი, ისე საუკეთესო თეორეტიკოსი კარლ კაუტსკი. ლენინის აზრს იზიარებდა შვეცის ახალგაზდათა ორგანიზაცია და შვეიცარიის პარტიის ერთი ნაწილი.

ტროცკის აზრით, სოციალისტების ქცევა აიხსნება მათი ლეგალური სულისკვეთებით. იმათ მაღლა დააყენეს თავიანთი ორგანიზაციები, კასები, ჟურნალ-გაზეთების შერჩენა ამ ომის დროს თავიანთი მთავრობებთან შეთანხმებით, ვიდრე მედგარი ოპოზიცია და სამხედრო კანონების მიერ მათი დევნა. ტროცკის გამოუჩნდა მოულოდნელი მოკავშირე გუსტავ ერვეს სახით. მთელი ამ 8 წლის განმავლობაში ერვემ თავის ხელობად გაიხადა და ემტკიცებინა საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიისთვის, რომ გერმანიის პარტია მებრძოლი არასდროს არ ყოფილა. ის ყოველთვის იყო და დარჩა წევრთა შორის ფულის მომხვეჭელ და მდიდარი კასის მქონე პარტიად. მართალია, ტროცკის არ მოეწონებოდა ამისთანა მოკავშირე, მაგრამ ეს საქმეს არ უშველიდა. მისი ზერელე ახსნას, მთელს ევროპაში ყველაზედ მჩატედ მოაზროვნე მწერალი—ერვე აყვა.

ემიგრაციაში შეხვდებოდით იმისთანა ამხანაგებსაც, რომელნიც, როგორც ფრანგების, ისე გერმანელ სოციალ-დემოკრატების ტაქტიკას არა მარტო ბუნებრივათ, არამედ კანონიერადაც თვლიდენ. მათი აზრით, ყველა იცავდა თავიანთ სამშობლოს. ამის გამო ომის დროს ინტერნაციონალი დანგრეულია. გათავდება ომი და საერთაშორისო მოძრაობა ისევ ძველებურ სახეს მიიღებს. ამ აზრს იცავდა უწინ ბუნდოველების ერთი ნაწილი. ამასვე იმეორებდენ სხვათა შორის დანიის და შვეიცარიის სოციალისტების მარჯვენა ფრთა.

ინტერნაციონალის კრიზისს შეეხო მენშევიკების ბელადი პავლე აქსელროდიც. მისი აზრით ომამდის სოციალისტური პარტიები სხვადასხვა ქვეყნებში ვითარდებოდა სახელმწიფოებრივ ფარგლებში და ამ ფარგლებშივე აწარმოებდა ის თავის პოლიტიკას. იმ დროს, როდესაც საფრანგეთის მუშებს საჭირ-ბოროტო კითხვად დასმული ქონდათ სამხედრო ბეგარის საკითხი (ორი წლის, ან სამი წლის სამსახური), ამ საკითხის გამო იმართებოდა ყრილობები, იწერებოდა აუარებელი ბროშურები, წარმოებდა სასტიკი ბრძოლა პარლამენტში და მთელი გრძნობა გონება საფრანგეთის მუშის ამ კითხვას შეეპყრო, გერმანიის მუშებს აღელვებდა პრუსიის საარჩევნო უფლების საკითხი. იქ ამ კითხვაზედ გამოქონდათ რეზოლიუციები და ემზადებოდენ დემონსტრაციისთვის. რუსეთის მუშებს შეეძლოთ ეინტერესებოდათ თეორეტიულად, როგორც უცხოეთის ამბავი, ყველა ეს და ისიც მოწინავე წრეებში. მაგრამ რომელი მუშა თვლიდა თავის საქმედ პრუსიის არჩევნების საკითხს, რომელი მუშა ღელავდა და ცხარედ კამათობდა ჩვენში ამის შესახებ? ორიოდე თუ მოიპოებოდა ამისთანა, ისიც კარგია. მეორე მხრივ, როდის იყო საფრანგეთის მუშები გამოვიდა მასიურად და რუსეთის მეფის ელჩის წინ დემონსტრაცია მოახდინა? არასდროს. იგივე საფრანგეთის მუშები ბარიკადებს აკეთებდენ კლემანსოს (საფრანგეთის მინისტრ პრეზიდენტის) წინააღმდეგ. მართალია, ინტერნაციონალურ კონგრესებზედ საერთო ხასიათის რეზოლიუციები გამოქონდათ, ხანდახან ამ რეზოლიუციებს პრაქტიკული შედეგიც ქონდა, მაგრამ ეს ვერ შლიდა მუშების პსიხოლოგიას, სახელმწიფოებრივ ფარგლებში აღმოცენებულს და ფრთა გაშლილს. ასე შეხვდა მუშები საერთაშორისო ომის დასაწყისს. მისი პოლიტიკური მსჯელობა ჩვეულებრივი, ნაცადი გზით წავიდა, სახელმწიფოებრივ ფარგალში მომწყვდეული და გაზრდილი. განიმეორეს ის, რაც არა ერთხელ უთქვამთ: „თუ ჩვენ დაგვეცენ, ვიგერიებთ"—და ამნაირად იარაღს მოკიდეს ხელი. იმ დროს, როდესაც მუშებს შემთხვევა მიეცათ ინტერნაციონალურად გამოსულიყვნენ, რადგანაც მთელს ევროპაში ერთ და იმავე დროს ერთი კითხვა დაისვა—ისინი გამოვიდენ ნაციონალურად. ამ აზრს იზიარებდა სოციალისტურ ოპოზიციის დიდი უმრავლესობა.

როგორ უნდა გამოსულიყო არა სახარბიელო მდგომარეობიდან ინტერნაციონალი? ლენინის აზრით, თუ ბელადებმა უღალატა, მუშები ხომ დარჩა სოციალისტური. საჭიროა იყო ისეთი ლოზუნგის გადასროლა, რომელიც მათ გამოაფხიზლებდა და ისევ კლასიურ გზაზედ დააყენებდა. ასეთი ლოზუნგი მან მონახა რუსეთის შემდეგ, სამოქალაქო ომში, Гражданская война. ომის წინააღმდეგ მუშებმა ევროპაში უნდა წამოაყენოს სოციალისტური რევოლიუციის გახორციელება და, როგორც საშუალება, სამოქალაქო ომი. ყველა ფრონტებზე უნდა დაარსდეს რევოლიუციონური ჯგუფები, რომელნიც, სხვათა შორის ხელს შეუწყობენ ეგრედ წოდებულ „ბრატანიეს". ამ აზრს იცავდა ლენინი ციმმერვალდის კონფერენციაზედ თავის მაშინდელ ნეგობარ პოლონელ სოციალისტ რადეკთან ერთათ. აქსელროდ-მარტოვის ლოზუნგი იყო „ზავი უკონტრიბუციოთ და უანექსიოთ". ამას უჭერდა მხარს იტალიის სოციალისტები, შვეიცარიის პარტიის უმრავლესობა რობერტ გრიმის *) მეთაურობით და საფრანგეთ-გერმანიის ოპოზიცია. მათი აზრით, მხოლოდ ეს ლოზუნგი შეკრებდა მის გარშემო ევროპის მუშების ფართო მასას, რადგანაც მისთვის ადვილი გასაგები იყო. აქსელროდის აზრით, ეს ისეთი ლოზუნგი იყო, რომელიც მუშებს გამოიყვანდა ნაციონალურ კარ-ჩაკეტილობიდან და ერთნაირათ ამეტყველებდა მათ გონებას, მათ ხელში აძლევდა საერთო დროშას ერთნაირი წარწერით და ამ ნაირათ პირველად გამოიყვანდა სხვადასხვა ეროვნების მუშებს ერთად და საერთაშორისო მოძრაობაში ჩააბამდა. ამ ლოზუნგის ავტორებმა კარგათ იცოდენ, რომ საერთაშორისო გამოსვლა არ მოხდებოდა უცბათ, ერთ მშვენიერ დილას, მაგრამ სრული იმედი ქონდათ, რომ ეს პროცესი შეუჩერებლივ განვითარდებოდა და შესაფერ ნიადაგს გამოიღებდა ომის ლიკვიდაციისთვის. ლენინის მიმდევრებმა ყველა ქვეყნებში ეს ლოზუნგი სასაცილოთ აიგდეს. ზავისთვის ბრძოლა მათ გამოაცხადეს ხუცესების საქმეთ (ამ დროს რომის პაპმაც წამოაყენა ორიოდე სიტყვა კაცთ-მოყვარეობაზედ) ზავისთვის ბრძოლას, ისინი უპირდაპირებდენ სოციალიზმისთვის ბრძოლას. რაც შეეხება უანექსიო ზავს, ისინი გადაჭრით ამბობდენ, რომ ეს ნიშნავს ყველა ძველათ დაპყრობილ ქვეყნების და სახელმწიფოების მიერ შენარჩუნებას. ციმმერვალდელებს აერ-

---

*) როგორც ირკვევა, რობერტ გრიმი ბოლო დროს უხეირო და უგულოდ შეუწყნარებელ ტაქტიკას დასდგომია ზავის ჩამოსაგდებად. ჩვენ ვწუხვართ მისი სახელისთვის. ბ. თ.

ტიის არჩევნებში გაერთიანებულათ გამოსვლათ. შემდეგ კრებამ გაარჩია ხმოსნების სია საბოლოოდ მისი განხილვა კრებამ საარჩევნო ბიუროს და საგანგებო კომისიას მიანდო.

◆ **პოლიციელები და ჟანდარმები.** კავკასის ჯარის ცენტრმა იმ პოლიციელებისა და ჟანდარმების საქმე გაარჩია, რომლებიც ამ ჟამათ ჯარში არიან გაწვეულნი. ცენტრის ყველა წევრები იმ აზრისა იყვნენ, რომ მათი ჯარში გაჩერება, როგორც აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ელემენტებისა, საზარელი და სახიფათოა. წინადადებებიც სხვა და სხვა ნაირი იყო. მათი მავნე გავლენის თავიდან ასაშორებლათ დაბოლოს არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელიც კრებაზე გამოთქმულ აზრების თანახმად შესაფერ ზომებს გამოიმუშავებს.

◆ **სამხედრო ვალდებულ პირთა შემოწმება.** თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიანდო თავის წევრს ილია ქარცივაძეს მთელს თფილისში შეამოწმოს ყველა ის სამხედრო ვალდებული პირნი, რომლებიც სახელმწიფო თავდაცვის საქმეზე მუშაობენ. მას უფლება მიეცა შეადგინოს ამ საქმის საწარმოებლათ საგანგებო კომისია, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა საქმის ვითარებას და თუ ვინმე ზედმეტი მომუშავე აღმოჩნდება თავდაცვის საქმეზე, ასეთი პირები გაიგზავნებიან პირდაპირ სამხედრო უფროსთან ჯარში გასაგზავნათ.

◆ **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა** თფილისის სასამართლო პალატის წევრებათ დანიშნა თფილისის საოლქო სასამართლოს წევრი კურმანოვიჩი და ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოს წევრი სულიმანოვი. ნაფიცი ვექილები პ. მ. დოლუხანოვი, ი. ა. ამიროხანოვი და ა. ს. საყვარელიძე—თფილისის სასამართლო პალატის წევრებათ. თფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებელათ—ნაფიცი ვექილი ი. მ. დოლუხანოვი, თფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ—პ. დ. გიდევანიშვილი, მის ამხანაგათ—ა. ნ. ჰვევაძე. საოლქო სასამართლოს წევრებათ—ქ. თფილისის მომრიგებელი მოსამართლენი: პ. კიზირია, მილოვსტოვი, ყაზახის მომრიგებელი მოსამართლე—მაჰვერიანი და თელავის—დანიელბეგოვი. საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგათ—ნაფიცი ვექილი გამშტეინი.

◆ **სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე.** რადგანაც ქვემოაღნიშნულ ფირმებში მოსამსახურეებმა—ნოქრებმა წარუდგინეს მოთხოვნილება და პატრონებს არ სურთ დააკმაყოფილონ ნოქრების სამართლიანი მოთხოვნილებანი, ამიტომ თფილისის ნოქართა კავშირის ხელმძღვანელობით გამოცხადებულია გაფიცვები. პისტოჯიანცის— საბაკალეინო მაღაზიაში, დანელუროვის—ჭურჭლის მაღაზიაში, აბელოვის—რკინის მაღაზიაში, ჩილინგაროვის საგალანტერიო მაღაზიაში, პაპოვის—საბაკალეინო მაღაზიაში, როტინოვის—სამანუფაქტურო მაღაზიაში. ნოქართა კავშირის გამგეობა სთხოვს ნუ დაჰკრენ გაფიცულთა ალაგებს, რადგანაც ეს ადგილები ბოიკოტის ქვეშ იმყოფებიან.

◆ **ამიერ კავკასიის ბანკი** 2 ივლისს გაიხსნა, ბანკი მოთავსებულია ლორის მელიქოვის ქუჩაზე სათავადაზნაურო ბანკის ახალ შენობაში მეორე სართულზე. მოქმედება დაიწყო ბანკმა 3 ივლისიდან. ძირითადი თანხა 3 მილიონი მ. აქვს. გამგეობის თავმჯდომარეა ი. მ. ლორთქიფანიძე, წევრნი რ. ყ. დათეშიძე, დ. ვ. ქუთათელაძე. საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. ხოშტარია, მისი მოადგილე პ. ვ. კიზირია.

◆ **სურსათის გატანა თფილისიდან.** როგორც სასურსათო კომიტეტის სხდომაზე ნ. ელიავას მოხსენებიდან გამოირკვა, მოაგარაკეთ თურმე ბლომათ გააქვთ თფილისიდან შაქარი და სხვა სურსათი. კომიტეტმა დაადგინა: მიცეს თფილისიდან ერთი თვის ულუფა შაქრის გატანის ნება. შეიძლება აგრეთვე 20 გირვანქამდე პურის ფქვილის გატანა. დანარჩენი სურსათის გატანა კომიტეტს არ განუსაზღვრავს, თუ რა თქმა უნდა, ასეთ გატანას სპეკულიაციის ხასიათი არ ექნება.

◆ **პ. მასლოვი.** ჩვენს რედაქციას გუშინ ესტუმრა ცნობილი ეკონომისტი და აგრარული კითხვის მცოდნე პეტრე პავლეს ძე მასლოვი, რომელიც გუშინვე გაემგზავრა სოფ. ქვიშხეთში.

კრებები და მიტინგები.

— 6 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის დარბაზში შესდგება თფილისის ფარმაცევტების კრება. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, 5 ივლისს, ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა № 1) დანიშნული არის ლექცია ქართულ ენაზე. დასაწყისი 6 ნახ. საათზე.

— დღეს, 5 ივლისს, ავლაბრის კლუბში შესდგება რაიონული კრება მკერავი ქალების პროფესიონალური კავშირის მე-7 და მე 8 უბნისა 3 საათზე. გამგეობა სთხოვს ამხანაგებს არ დაიგვიანონ.

პროვინციის ქრონიკა.

ხად. ალექსანდროპოლი. 28 ივნისს, დღის პირველ საათზე აქ საზიზღარი საქმე ჩაიდინეს ფრონტზე მიმავალ ჯარის კაცებმა: ერთი ვინმე თათარს წაელაპარაკა, ძალზე სცემეს და ბოლოს თავი ქვით გაუჭეჭყეს, რომელიც გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ თათრებში მითქმა მოთქმა გამოიწვია, სოფლებმა მოგვიკლესო და საქმე რომ დროზე არ ჩაეჩუმებიათ ვინ იცის რა არ მოხდებოდა, როგორც სარიკამიშიდან დეპეშით გვატყობინებენ იქ 29 ივნისს დილით ჯარის კაცებს კიდევ მეტი საზიზღარი საქმეები ჩაუდენიათ: მოუკლავთ „ვესოვშჩიკი“ ბურჯანაძე და ბევრი სხვა მოსამსახურეებისთვის უცემიათ, რის შემდეგ მოსამსახურეებმა შიშით სადგური მიატოვეს და ალექსანდროპოლში ჩამოვიდნენ...

ბათუმი. კვირას, 28 ივნისს, ამხ. პორონხოვმა წაიკითხა ლექცია: „ქალაქის თვითმართველობა და პროლეტარიატი“. დაესწრო მრავალი მუშები და ჯარისკაცები.

— 30 ივნისს გაიმართა მიტინგი რ. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის კომიტეტის ინიციატივით. მიტინგს მრავალი ხალხი დაესწრო უმთავრესათ მუშები და ჯარიკაცები. წარმოითქვა სიტყვები ამხანაგების მიერ რუსულ-ქართულ-სომხურ ენებზე საქალაქო არჩევნების შესახებ. მათ მოუწოდეს დ მწრით მიეცათ ხმა სოც.-დემ. პარტიისათვის (სია № 1) და მთელი მიტინგი ცხარე ტაშის ცემით ეგებებოდნენ სოც.-დემ. ორატორებს.

— ქალაქის მოურავმა გამოაქვეყნა ყველა პარტიების სახმოსნო კანდიდატთა სია. სულ 10 სია. სოც.-დემ. პარტია პირველი ნომერია.

თებდა ის, რომ ისინი ომს ებრძოდნენ, მხოლოდ სხვადასხვა მიმართულება სხვადასხვა გზით მიდიოდნენ და სხვადასხვა ნაირ ლოზუნგებს აყენებდნენ.

მარტოვ-აქსელროდი (რუსეთი), ლედებურ-ცეტკინა (გერმანია) მარგარი (იტალია) ბრიზონი (საფრანგეთი) და სხვების აზრით, იმათ ვისაც მართლა უნდოდა ზავისთვის ბრძოლა, ჯერ უნდა ბელით ბურჟუაზიასთან ბლოკთან, უარეყოთ ეგრედ წოდებული სამოქალაქო ზავი, გასულიყვნენ სამინისტროდან და სრულიად დამოუკიდებლად ემოქმედათ. ვინც ამ აზრს იზიარებდა, ის მათთან იყო. როგორი იყო მათი დამოკიდებულება, როგორც ახლა მოდაშია მიღებული შეიდემანთან, გედთან და სხვებთან? მკითხველო, გთხოვთ არ დაივიწყო, რომ პირადად შეიდემანი და გედზედ არ არის ლაპარაკი. საქმე გვაქვს იმ ჯგუფებთან მუშებთან, რომელნიც ხანდახან შეიდემანზე მარჯვნივ მიდიოდნენ. თუ კი სხვადასხვა ქვეყნის უმრავლესობა დადგებოდა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე, თუ ის დამოუკიდებლად გამოვიდოდა და გაასწორებდა თავის ტაქტიკას, ისინი ჩვენთან ერთად იქნებოდნენ და მათ ხელს ვერავინ კრავდა. ზოგიერთებისთვის, რომელნიც ციმერვალდელების მარცხენა ფრთას ეკუთვნიან, ეს უმრავლესობა საერთოდ განდევნილ უნდა იქნას საერთაშორისო ოჯახიდან, რადგანაც კუზიანის გასწორება მარტო საფლავს თუ შეუძლიან.

ციმერვალდის ყრილობის დროსაც ადგილი ჰქონდა იმ მოვლენას, რომელსაც ახლა „ბრატანიეს“ ეძახიან. მაშინ, მართალია, ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ.

ეს მოვლენა ჩვეულებრივ ყოველთვის ომის დროს. საჭმლის და თუთუნის გაცვლა-გამოცვლა ყოველთვის ხდებოდა მებრძოლ ჯარის კაცებთა შორის. დღეს მას უფრო ფართო ხასიათი აქვს, მაგრამ ეს აიხსნება ერთი იმით, რომ ომს დიდი მანძილი უკავია, მეორე მხრივ ჯარი დიდხანს რჩება სანგრებში და ბოლო დროს ომი ყველას მოწყინდა. ბურჟუაზიული პრესა ევროპაში სასტიკად ილაშქრებს, და ყოველთვის ილაშქრებდა, ამის წინააღმდეგ. მეორე მხრივ ზოგიერთ ადამიანს ეს ჩვეულებრივი მოვლენა ომის დროს კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება ჰგონია. ჩვენთვის ციმერვალდელებისათვის, ეს საერთო ადამიანური მოვლენაა და აქვე საჭიროა ითქვას. ეს სრულებით არ არის საშუალება ზავის შეკვრისთვის. ერთი პატარა დემონსტრაცია პარიზში, ან ბერლინში ათასჯერ უკეთესია, ვიდრე ყველა „ბრატანიები“ ერთად აღებული, როგორც ზავის მომაახლოვებელი საშუალება.

მესამე მიმდინარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ციმერვალდელებში, ისახებოდა შვეიცარიის და იტალიის სოციალისტების მარჯვენა ფრთაში, ამასვე ეკუთვნოდა ინგლისელების ნაწილი, რომელიც ომის წინააღმდეგ გამოდის და საფრანგეთის ოპოზიციის სულ მცირე ნაწილი. მათი აზრით, უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო ინტერნაციონალური ბიუროს მოწვევა. მათი ლოზუნგი იყო ბრძოლა სხვადასხვა ნაციონალურ პარტიების შიგნით ამ აზრის გასამარჯვებლად. ცალკე ფრაქციების გამოსვლას ანტინაციონალური ლოზუნგებით ის ძლიერ უფრთხოდა, რადგანაც ეს, მათი აზრით, სამუდამოთ დაანგრევდა ინტერნაციონალის არსებობას. მხოლოდ ინტერნაციონალურ ბიუროს შეეძლო აღედგინა დანგრეული კავშირი და შეემუშავებინა ყველა სექციებისთვის სავალდებულო დადგენილება. ეს მიმართულება მეტად სუსტი იყო ციმერვალდელებში და შესაფერი გავლენაც ვერ მოახდინა.

ამნაირ მდგომარეობაში იყო ციმერვალდის მიმდინარეობა, როდესაც იფეთქა რუსეთის რევოლიუციამ.

ზ. თუქლათელი.

(შემდეგი იქნება).

დასჯილი აჭარლები.

ამას წინეთ თფილისში ნოე ჟორდანიამ პეტროგრადიდან კარლო ჩხეიძისაგან დეპეშა მიიღო, სადაც ის სწერდა: დასჯილი აჭარლების საქმის გადათვალიერებას შეგვპირდა იუსტიციის მინისტრი და იმედი არის დასჯილებს გაანთავისუფლებენო. ამ დღეებში კი, აკაკი ჩხენკელმა ცნობა მიიღო—დასჯილი აჭარლები განთავისუფლესო. საყურადღებო ცნობაა. მალე სამი წელიწადი იქნება რაც აჭარა სასჯელს იხდის. სასჯელს იხდის მთელი აჭარის ხალხი, რამდენათაც საომარი მოქმედების დროს ეს ქვეყანა გაანადგურეს. სასჯელს იხდიან ციხე ციმბირ კატორღებში აჭარის ის შვილები, რომელთაც სახელმწიფო ღალატი დასწამა რუსეთის ძველმა მთავრობამ. სწორედ აჭარაზე ზედ გამოჭრილი თქმულებაა: „ქალემები წაიკიდენ, კოზაკი შუაში გასჭყლეტესო“. რუსეთი ოსმალეთს ებრძოდა—აჭარა გაანადგურეს. ბევრს სწერდენ იმ ხანებში აჭარის განადგურების შესახებ, ბევრი მტრულად უცქეროდა აჭარას—მოღალატე ხალხია, უნდა დაისაჯონო, გაჰკიოდენ მტრები; მაგრამ აჭარლებს მოყვრებიც ბლომათ გამოუჩნდენ. ვინ გაუწოდა ძმური ხელი პირველად ამ გასაჭირში აჭარლებს? ქართველმა ხალხმა,—ქართველმა გლეხობამ და მუშებმა.

იმ დროს, როცა ტრაპიზონ რიზით მოსული ოსმალოს ჯარი ჩოროხის პირათ იყო დაბანაკებული, იმ დროს, როცა ართვინი და სხვა აჭარის განაპირა ადგილები ოსმალეთის ჯარს ჰქონდა დაკავებული, იმ დროს, როცა ბათუმიდან აჭარაში ჯარები გაგზავნილი იყო და იგზავნებოდა კიდევ—ბათუმში შესვლაც ძნელი საქმე იყო, ვინაიდან არ ვინ იცოდა ვის დარჩებოდა ბათუმი,—სწორეთ ამ დროს გაჩნდა ბათუმში დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. რა ხდებოდა ამ დროს აჭარაში? ერთის მხრით მუშაობდენ ოსმალეთის კომისარები—აჭარლებს ეუბნებოდნენ: გადმოდით ჩვენსკენ, რა გინდათ რუსებთანო და სხ. ვინც მათ არ ემორჩილებოდა, ძალით იმორჩილებდენ. რუსის ჯარს კი თან ახლდენ ისეთი პირები, აჭარლების მტრები, რომლებიც აჭარლებზე ათას ხმებს ავრცელებდენ: რუსის ჯარს ეუბნებოდენ—ესენი მოღალატენი არიან, არ ენდოთ მათ, დახოცეთ უნდაო და სხვა ასეთი პროვოკაციული მოქმედებანი. რა ჰქონდათ მათ მიზანი? ბევრი რამ. მაგრამ უმთავრესად ერთი: აჭარლებს ამოწყვეტენ, აქედან გადაასახლებენ—მათი სახლ-კარი, მიწა-ადგილი ჩვენ დაგვრჩებაო. და ასე, ცეცხლსა და მახვილს ეძლეოდა საუკუნოებით შეძენილი სიმდიდრე, ავლადიდება. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც იმ ხანებში ბათუმიდან ხულომამდე იმოგზაურა ასე გვწერდა აჭარას: გზაზე ყველგან ჯარი სდგას. ადგილობრივი მცხოვრებნი აღარ სჩანან—ვინც ცოცხალი გადარჩა, ალბათ, მთაში გახიზნულა. ცარიელია სოფელი. მხოლოდ ძაღლების საზარელი ყმუილი ადამიანს სევდას ჰგვრის, ირგვლივ თოვლია—ზოგიერთ ალაგას თოვლზე ყვითელი ადგილები მოჩანან—ეს სასიმინდეებში პური გაუშლიათ—სიმინდი ცოტა წაუღიათ, დიდძალი კი იქვე ჰყრია. ასეთი ამბები იყო აჭარაში, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელი ჩავიდა. მას თავში ერთად ერთი აზრი უტრიალებდა: რაიმე ნაირათ აჭარლებს დახმარებოდა. პირველი ნაბიჯი, რომელიც მან ამის შესახებ გადადგა, როგორც მაშინ თითონ აწერა გაზეთში, იყო ადგილობრივ ზოგიერთ პირთადმი მიმართვა: აჭარლებს კი არა, ჩვენც ზოგვეხიბენ, ჩუმათ იყავი, არაფერი განაცხადო, მთავრობა არ გაგჯავროსო დახმარების ნაცვლად ასე უპასუხეს მას. აბა ასეთი ხალხი მას რა დახმარებას გაუწევდა. მაგრამ მას უკან არ დაუხევია. მოშორდა იმ მხდალ ხალხს და პირდაპირ ჯარების უფროსი ინახულა—აუხსნა მდგომარეობა. როგორც დეპუტატს, აკაკი ჩხენკელს, მან ყურადღება მიაქცია, მაგრამ განა ასე უცბათ შეიძლებოდა იმ წყლულების დამშვიდება, რომელიც აჭარლებს უკვე საკმაოდ ჰქონდა და თანდათან ემატებოდათ იმ მახვილით, რომელსაც აჭარლებს მათი მტრები სცემდენ?

ეს იყო საქმის დასაწყისი. იმ დღიდან აკაკი ჩხენკელს აღარ მოუშორებია ხელიდან აჭარლების საქმე. დადიოდა ყველგან, ყველა დაწესებულებაში მთავრობის იყო ის თუ საზოგადო,—რომ აჭარლებს დახმარებოდა.

რა ხდებოდა ამ დროს აჭარაში? ოსმალოს ჯარმა ვეღარ გაუძლო რუსის ჯარს. ოსმალოს ჯარი აჭარიდან გარეკეს. არა თუ აჭარიდან, საკუთარი მიწა-წყლებიდანაც ვერ გამაგრდა ოსმალოს ჯარი ჩვენი საზღვრების მახლობლათ, ერთი საქმე რუსეთის ძველმა მთავრობამ ამით თითქოს დაამთავრა და დაიწყო მეორე საქმე. ეს მეორე საქმე იყო მოღალატე აჭარლების დასჯა, ჭერა-დაპატიმრება, გაუმართლებლათ დახვრეტაც—აი, იმ შავბნელი დღეების ამბები! იჭერდენ ხალხს და სახელმწიფოს ღალატს აბრალებდენ. მერე არ იკითხავთ რამდენი იყო ეს მოღალატე ხალხი? —ერთი, ორი თუ ათი,—არა, მოღალატეთ მონათლეს რამდენიმე ასი კაცი! ჩვენი დეპუტატებიც არ ყოფილან იმ დროს გულზე ხელ დაკრეფილნი. აკაკი ჩხენკელმა და კარლო ჩხეიძემ სახელმწიფო დუმაში შეკითხვა შეიტანეს: რატომ პეტროგრადის დიდი მთავრობა, სახელმწიფო დუმა ყურადღებას არ აქცევს როცა აჭარლებს უსამართლოდ არბევენ-ანადგურებენო. სახელმწიფო დუმაში ძველი მთავრობის მომხრენი ამბობდენ: სად გვცალია აჭარლებისთვის,—თავიდან მოგვშორდით, მაგრამ ჩვენს დეპუტატებს ერთხელაც ვერ დაახევინეს უკან. როგორც კი იხელთებდენ მარჯვე დროს,—აჭარის საკითხს აღძრავდენ ხოლმე. ასე მოქმედებდენ სახელმწიფო დუმაში. დუმის გარეთ კი, ბევრს მუშაობდა განსაკუთრებით აკაკი ჩხენკელი. მეფის მოადგილესთან სიარულს მისას ხომ სათვალავი არ ჰქონდა! ზოგიერთი მოცლილი, უსაქმო ხალხი მაშინ ხუმრობით იმასაც კი ამბობდა: იმდენს დადის მეფის მოადგილესთან ეს აკაკი ჩხენკელი, რომ ეზო სულ აუტალახაო.

მთავრობა კი ამ დროს დაჭერილ აჭარლების გასამართლებას ეპირებოდა,—მაგრამ ცდილობდა ისეთი მსაჯულებისაგან შეედგინა სასამართლო, რომლებიც აუცილებლათ აჭარლებს დამნაშავედ იცნობდენ. მსაჯულს იმის უფლებასაც არ აძლევდა მთავრობა, რომ თითონ გასცნობოდა საქმეს და ისე გადაეჭრა. აჭარლების მტრები ე. ი. ის პირნი, რომელნიც ყოველ საშუალებას ხმარობდენ, რომ აჭარლები მამა-პაპეულ მამულებიდან აეყარათ და თითონ დასახლებულიყვნენ—ცრუ მოწმეებს და ყალბ საბუთებს ეძებდენ, რომლითაც აჭარლების მოღალატეობის დამტკიცებას ელოდენ. აჭარლებისადმი მტრულად განწყობილი ზოგიერთი გაზეთები გრძელ-გრძელ წერილებს ჰპეჭდავდენ და ამტკიცებდენ, რომ აჭარლები მოღალატენი არიანო. ერთი სიტყვით, ყველაფერი მომზადდა წინდაწინ, რომ აჭარლები დამნაშავეთ ეცნოთ და ამას შემდეგ სასამართლოც დანიშნეს.

რა დაინახეთ სასამართლოში, როცა ამ უდანაშაულო ხალხს ასამართლებდენ?

ყოვლადგვარი სისაძაგლე! ვინც აჭარლების სასარგებლოთ რაიმეს იტყოდა—პირში ბურთს სჩრიდენ, ვინც საზარალოთ იტყოდა რამეს—სიამოვნებით უსმენდენ. როცა დამცველი (ვექილი) კითხვას ვრცლად შეხებოდა, იმას ეუბნებოდენ გაჩერდი, საზღვარს გადასცდიო. თითონ კი, უდანაშაულო ხალხს სიკვდილს უსჯიდენ და ეს არ მიაჩნდათ „საზღვარზე გადაცილებათ“. ამასთანავე სასამართლოში პეტროგრადის მთავრობის კაცები (ჯაშუშები) ისხდენ, და თვალ-ყურს ადევნებდენ—აბა, ვინ იტყვის აჭარლების გასამართლებლათ რამესო. რომელი ერთი საზიზღრობა ჩამოვთვალოთ! ასე საზიზღრათ გაასამართლეს ეს უდანაშაულო ხალხი! ბევრს, ძალიან ბევრს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, დანარჩენთ კატორღა ციხე-გადასახლება.

ძველი მთავრობის და აჭარლების მტრების ასე სამარცხვინოთ დასრულდა ეს საქმე! უდანაშაულო ხალხზე ძალადობა იხმარეს! ჩვენი დეპუტატები მუდამ იმის ცდაში იყვნენ,—თუ სავსებით განთავისუფლება არ მოხერხდა, სასჯელი შეემსუბუქოთ. აკაკი ჩხენკელის დახმარებით სიკვდილით დასჯა კატორღათ შეუცვალეს, მაშინ ესეც დიდი წყალობა იყო! ამის შემდეგ, ჩვენმა დეპუტატებმა და განსაკუთრებით აკაკი ჩხენკელმა ეს საქმე მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში „ათრია“ როგორც იტყვიან და, როგორც ხედავთ, არ გაუშვია ხელიდან, სანამ არ განთავისუფლდენ აჭარლები.

რა გვასწავლა აჭარლების საქმემ?

რუსეთის ძველმა მთავრობამ აჭარლები დასაჯა, ახალმა მთავრობამ გაანთავისუფლა.

აჭარლებს ერთობ ბევრი მტრები ჰყოლია. ძველი მთავრობა, მართალია, დაემხო, მაგრამ აჭარლების მტრები არ დამხობილან ყველანი, ისინი ამ ახალ დროში აჭარლების მტრობას, რა თქმა უნდა, ახალი დროის შესაფერათ განაგრძობენ, მაგრამ აჭარლებს ამავე დროს მოყვრებიც ჰყოლია. ეს მოყვრები—ქართველი ხალხი—გლეხობა და მუშები და მათი დეპუტატები ყოფილან. აჭარლებო! უფრთხილდით თქვენს მტრებს! როცა თქვენთან ძველი მთავრობის ხალხი მოდიოდა, თქვენ ქართველებში მამასახლისებათ და „სტრაჟნიკებათ“ გნიშნავდა და თან გეუბნებოდა—თქვენ ქართველებთან საერთო არაფერი არ გაქვთო, ამით მათ აზრათ ჩვენი გათიშვა ჰქონდა. თუ გავცალკევებთ, მაშინ ვიბატონებთ მათზეო.

ნუ დაუჯერებთ ასეთ ხალხს!

ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვასწავლა გამოვლილმა გასაჭირმა. მაშ, მომავალში შესაფერისად ვისარგებლოთ ამ გამოცდილებით!..

მცირე შენიშვნა.

არსებული პოლიტიკური მდგომარეობა დიდათ დაკავშირებულ მოქმედებას ავალებს მომქმედ პარტიებსა და უმთავრესათ მუშათა დეპუტატების საბჭოებს. რევოლიუციონური დემოკრატია ვალდებულია ფხიზლათ ადევნოს თვალყური ცხოვრების რთულ მოვლენებს, არ უნდა გამოეპაროს წვრილმანი საკითხებიც კი. ყველაფერს უნდა ზომავდეს რევოლიუციის ადლით და თუ სადმე შენიშნავს, რომ ესა თუ ის მოვლენა საერთო მსვლელობას, საერთო წინსვლას დიადი საქმისას ხელს უშლის, უნდა შეეცადოს ასეთი მოვლენის შეჩერებას მაშინაც კი, როცა თავისთავათ მოვლენა ცუდის მაგიერ ძალიან კარგი და სიმპატიურიც არის. ერთი შეხედვით ეს დებულება აბსურდათ მოეჩვენება ზოგს, მაგრამ თუ ცხოვრებას დაკვირვებით დავინახავთ, რომ დღეს ბევრი რამ კარგი თავისთავათ, ცუდია რევოლიუციისათვის, რადგან თავისი არსებობით ხელს უშლის საერთო საქმის წინსვლას.

საუკუნოებით უფლებას მოკლებულმა ჩვენმა ხალხმა დღეს, როცა თავისუფლება მოიპოვა, როცა მისი უფლება არაფრით არაა შეზღუდული და რასაც [illegible] მოინდომა ერთბაშათ [illegible]. რევოლიუციის სასამსახურით უმისოდაც დიდძალი მუშაკები საჭიროა. საზოგადოთ გამარჯვებული რევოლიუციის თვისება მშენებელ ძალთა ნაკლულევანებაა ყველგან, ხოლო ჩვენში ეს ერთი ასათ იზრდება და მშენებელ ძალთა პირდაპირი შიმშილობაა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სამუშაო ერთბაშათ ამდენი გაგვიჩნდა, ხოლო ხანგრძლივმა რევოლიუცია-რეაქციამ და ეხლა უმაგალითო ომმა უანგარიშო მსხვერპლი შეიწირა და მათ შორის კულტურულ ძალთა სახელოვანი ლეგიონები. კიდევ უფრო მცირეა ჩვენი ეკონომიური ძალები: დესპოტიზმისაგან გაძვალტყავებული ხალხი უმაგალითო ომმა სავსებით გაძარცვა, გამოფიტა. დღეს რევოლიუციას როგორც ცოცხალი აგრეთვე მატერიალური ძალების უკიდურესი მინიმუმი შერჩენია ხელში. ასეთ დროს როცა ვინმე კერძო პირი თუ საზოგადოება ან ჯგუფი რაიმე ასეთ საქმის ეხლავე განხორციელებისათვის მოუწოდებს ხალხს, რომლის გადადება შესაძლებელია თუნდაც დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, ეს შეიძლება ბოლოს და ბოლოს კეთილი საქმის მაგიერ დანაშაულებათაც კი გამოვიდეს.

მკითხველი რომ არ შევაწყინოთ, მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან, რაც ყველა სხვა მაგალითებზე უფრო სიმპატიური მოვლენაა და მაშასადამე უფრო მოსახერხებელია გასაგებათ იმის რისი თქმაც მინდა.

ამ დღეებში ქ. ყვირილაში შედგა სამზრუნველო კომიტეტი, რომელმაც მიზნათ დაისახა ყვირილაში გიმნაზიის დაარსება და ამ მიზნის მისაღწევათ იგივე გზა აირჩია, რასაც ამ ხანათ ასე ადვილათ ირჩევენ და ასე მკვიდრათ მიაჩნიათ. ეს გზა არის ყულაბებითა და სხვა ასეთი ფორმებით ფულების მოკრება. როცა ამ მიზნით ხსენებულმა კომ. მ. ზ. არსებულ სხვა დაბებს და სოფლის საზოგადოებებს მიმართა მონაწილეობა მიეღოთ ამ მართლაც კეთილ საქმეში, ყველგან ერთი და იგივე გაისმა: „ის კი არა, ჩვენ აქვე დავაარსოთ საკუთრათ, განა აქვე არ გვირჩევნია“, [illegible] კიდევ ზოგან საზოგადოებრივი ელემენტებიც, რომ ყვირილელმა მოლოდინებმა უფრო ადრე აიღეს ინიციატივა. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ საქმე ფრიად კეთილი და სასარგებლოა, კიდევ მეტი, ის აუცილებელიცაა ბოლოს და ბოლოს და არამც თუ ყველა დაბაში, არამედ მოზრდილ საზოგადოებაშიც, რომ გიმნაზიები გაგვეხსნებოდეს ისაა საჭირო. მაგრამ მე მგონია ეხლა მისი გამოყენება იმ ძალზე დაბანდებულ ძალებისა და ხალხის ცარიელი ჯიბის ამარა, ამ ომისა, რევოლიუციისა და სოფლათ თუ ქალაქათ შიმშილობის დროს, მგონი ვერც გიმნაზიებს [illegible] ერთობ საქმესაც ხელს შეუშლით. ჩემის აზრით უკეთესია ერობის შემოღებას შევუწყოთ ხელი, მას დავაკისროთ სკოლების გახსნაც და ხალხსაც იქით მოუწოდოთ მერე, იქ შეიტანოს მანაც თავისი დახმარება.

მე მოვიყვანე ყველაზე უფრო სასარგებლო და აუცილებლათ საჭირო დაწყებულება, რომ ამით უკეთ გამოხატა ბევრი უფრო ნაკლებათ საჭირო საქმეები, რომლის გულისთვის დღეს, სრულიად უსაფუძვლოთ, ასე დაუზოგველათ ცდილობენ დაიბანდონ რევოლიუციონურ ხანაში ასე საჭირო მშენებელი ძალები მატერიალურ ძალებზე ხომ ლაპარაკიც მეტია: ამ რესურსების თადარიგზე დღეს არავინ არ ფიქრობს, ხალხის ჯიბის ღრმა ძალას დღეს არავინ ზომავს და ფიქრობენ თითქო ხალხს განუსაზღვრელათ გააჩნდეს ეს ძალა, ე. ი. ფიქრობენ, რომ ხალხს ჯიბეში აქვს წყაროც რომ მიადგეს კარზე ყულაბებით, შესძლებს ყველას მიეცესო. და მართლაც, არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ პატარა დაბებსა და სოფლებშიაც კი, დღე ერთია და ფულის მომგროვებელ ან რაიმე ბილეთებისა და ნიშნების გამყიდველები ათი. მერე როგორ ენერგიას იჩენენ ამ საქმეში ჩვენი ნებური დამაკავალერები! გავალ ქუჩაში თუ არა შემოგეხვევიან ერთგან, მეორეგან, მესამეგან და ასე ბოლომდის. უარს როგორ ეტყვი ან ცოტას როგორ შეაკლებ? აქ ყველა რევოლიუციის და პროგრესის სახელით მოგმართავს! და მიდის საქმე იქამდე, რომ პატარა სოფლის სამკითხველოსთვისაც დაბაში ქუჩებს მოედებიან, უჯრებს ყიდიან. ყველა, თუნდ ქუჩის, გაზეთი ხომ თავის მოვალეობათ თვლის მთელი ქუჩები მოეფინოს ყულაბიანი ქალებით და უამრავი ნიშნებით (значки) ხელში, რომ გამვლელ-გამომვლელს გროშები ამოართვას. ცხადია, რევოლიუციონური ორგანიზაციები ამის გამო უარს ვერ ეტყვიან ხალხის დახმარებაზე და დგება ატმოსფერა, სადაც „ობივატელი“ ყვედრებასაც აღმოხეთქს ახალ დროის წინაშე...

ამან აიძულა ზოგი დაბების მუშათა დეპუტატების საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები (ქალაქ. [illegible], ყვირილა, ჭიათურა) დადგენილება გამოეტანათ და ხელზე ბილეთების გინდ ნიშნების გაყიდვა ან ყულაბებით ფულის მოკრება აეკრძალათ არა მარტო კერძო პირებისა და ჯგუფებისთვის, არამედ პოლიტიკურ პარტიებისათვისაც, ასეთი უფლება ექსკლუზიურობით მარტო მუშათა დეპუტატების საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტს აქვთ.

საჭიროა ყოველნაირი რეკვიზიების თავის მოყვანა, კონცენტრაცია და მისი ნაყოფიერად დაბანდება მთავარ საჭიროებელ საქმეში.

ზ. დათიაშვილი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

მუხიანის (ვაკის) რაიონი.

მუხიანის (ვაკის) რაიონში 1907 წლის ზაფხულიდან არსებობდა სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, რომელიც სოფლებში: საყულია, ბაში, ოფშკვითი, ტყირია, უკანეთი, ფარცხანაყანევი, მუხიანსა და პატრიკეთში აარსებდა სამკითხველოებს, მოაწ. საზოგადოებას, სასოფლო ბანკებს, აწყობდა იაფ ფასიან წარმოდგენებს, სვინობას, ავრცელებდა პარტიულ ფურცლებს და ჟურნალ-გაზეთებს, იღებდა მონაწილეობას ოთხივე სახელმწ. დუმის არჩევნებში. ჯგუფს რაიონში ყავდა მუდმივი პარტიული კორესპონდენტი (ს. ახვიშვილი), რომელიც აწვდიდა ცნობებს პარტიულ ჟურნალ-გაზეთებს. ჯგუფმა მოაწყო ეგნ. ნინოშვილის 15 წლის თავი და კულტურული დღესასწაული „აკაკის იუბილე" და მოგზაურობა რაიონში; გამოსცა ნ. ჟორდანიას ბროშურა: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი" და ყოველდღიური გაზეთი „ვარსკვლავი" ქუთაისში. ჯგუფს დამოკიდებულება ქონდა ქუთაისსა და თფილისთან. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 12 მარტს ჯგუფის წევრები სხვადასხვა სოფლებიდან შევიკრიბეთ მუხიანში, ავირჩიეთ ბიურო, რომელიც ენერგიულად შეუდგა იმ დღიდანვე სოფლებში კრებების მართვას მომენტის გასარკვევად და გლეხთა საბჭოების მოწყობას თანახმად გაზ. „ერთობის" მოწოდებისა. 12 მარტს და 23 აპრილს მუხიანში მოვაწყვეთ მიტინგი, 14 მარტს ოფშკვითში, 15 მარტს და 12 მაისს საყულიაში, 9 მაისს ფარცხანაყანევში და 11 მაისს ბაშში. კრებებზე გამოტანილი რეზოლიუციები დაბეჭდილია „სოც. დემოკრატსა" და ერთობაში". ყველგან აღმასრულებელ კომიტეტებსა და გლეხთა საბჭოებში გავიყვანეთ ს. დემოკრატები. გლეხთა საბჭოები არსებობს: მუხიანში, საყულიაში, ოფშკვითში, ბაშში და ფარცხანაყანევში. ამ საბჭოების წარმომადგენლებისაგან შემდგარია რაიონული მუშათა და გლეხთა შეერთებული საბჭო, რომელიც არსებობს მუხიანში თავისი აღმასრულებელი კომიტეტით. მას ყავდა თავისი წარმომადგენელი თფილისის მუშათა და გლეხთა „სიეზდზე" 21—31 მაისს. შემდეგ შევუდექით პარტიული წრეების მოწყობას. მოვაწყვეთ ექვსი პარტიული წრე 247 წევრით: საყულიაში, ბაშში ოფშკვითში, ეწერ-ბაშში, ფარცხანაყანევში და მუხიანში. ამ წრეებში წარმომადგენელთაგან შემდგარია 15 აპრილიდან რაიონული კომიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ბეჭედი.

რაიონულმა ორგანიზაციამ მოაწყო 1 მაისის დღესასწაული, გაავრცელა ფურცლები, მოაწყო ქალთა წრეები მუხიანში, საყულიაში და ფარცხანაყანევში. გამართა „დეზერტირების" კრებები და 15 მაისს წაიყვანა ისინი ქუთაისში დროშებით. სოფლის ორგანიზაციები ავრცელებენ გაზეთებს, ხსნიან სამკითხველოებს, აწყობენ მკითხველთა წრეებს და საკვირაო სკოლებს, იძენენ თანდათან პარტიის წევრებს და ცდილობენ შექნან სახალხო კლუბები. რაიონში ფართოდ მუშაობის დაყენებას ხელს გვიშლის უსახსრობა, 4 ივნისს მუხიანში შედგა რაიონული პარტიის წევრთა კრება სათემო კომიტეტის მიერ წამოყენებული საკითხების გასარკვევად და „სიეზდზე" ერთი დელეგატის ასარჩევად. ნაციონალურ და აგრარულ საკითხებზე მიღებულ იქნა 21—31 მაისს მუშათა და გლეხთა დელეგატთა კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია. სხვა წამოყენებულ საკითხებზე კრებამ მიიღო პეტროგრადის და თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დადგენილებები. დელეგატათ არჩეულ იქნა ს. ახვიშვილი.

ს. მღვიმევი (ჭიათურის რაიონი).

კვირას, 25 ივნისს აქ შესდგა ს. მღვიმევის და ხალიფაურის მცხოვრებთა შეერთებული კრება. კრების მიზანი იყო ორგანიზაციის მჭიდროთ მოწყობა და ახალი წევრების მიღება. კრება გახსნა ამხ. მასიკო გაფრინდაშვილმა, რომელიც თავმჯდომარეთაც იქნა ამორჩეული. დამსწრეთ გააცნეს სოც.-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და პარტიის წევრის მოვალეობა. კამათის შემდეგ ამოირჩიეს თითო უბნში თითო ორგანიზატორი. აგრეთვე ამოირჩიეს 5 წევრი პარტიაში წევრების ჩამწერლებათ.

„მახარაშვილი".

რევოლიუცია პროვინციაში

სადგური ბოჟი (ქართლი). როგორც მკითხველებმა იციან, გორის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დატუსაღებულ იქნა რვა ამნისტიით განთავისუფლებული ტუსაღი, რომლებიც პატიოსან სიტყვის მიცემის შემდეგ გაათავისუფლეს გამომძიებელ კომისიის მოწვევამდე. 11 ივნისს მოიწვიეს მიხაილოვის და გორის მუშათა ჯარისკაცთა საბჭოდან წევრები და ექსპერტი. კომისიაში შედიოდენ გორის აღმასრულებელი ბიურო, მიხაილოვის და გორის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრები, სულ 13—15 კაცამდე. ის იყო კომისია უნდა შესდგომოდა საქმის გარჩევას, რომ აღელვებული ბრბო ბ-ნ გომართელის მეთაურობით შემოესია სამართველოს, შემდეგ შემოიჭრა შიგ მათი ჩამგონებელი ბ-ნნი გომართელი და მჭედლიშვილი და ბრძანეს, რომ ხალხი უკმაყოფილობას გიცხადებთო და გთხოვთ მიბრძანდეთ აქედანო. ბ-ნ გომართელს ხელს უწყობდა ის რვა კონტროლელი, რომლების საქმე იმ დღეს უნდა გარჩეულიყო. კომისიამ დაავალა ერთ ამხანაგს გასულიყო ხალხთან და ეთხოვა ხალხისთვის ამოერჩიათ სამი გლეხი, რომლებიც მიიღებდენ მონაწილეობას მსჯელობაში და დაშლილიყვნენ, მაგრამ ყოველი ზომების მიღება უნაყოფოდ რჩებოდა. მღელვარებამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და ძალით შემოცვივდენ დარბაზში, სადაც ძლივს მოსულმა ბ-ნმა გომართელმა კომისიას შეჰყვირა რევოლუციურად: „მე რევოლიუციონური წესით გიბრძანებთ აქედანო, მოშორდით გასდევნითო". რადგანაც კომისია დარწმუნდა თავის უძლურებაში და ვერას გახდებოდა, იძულებულ იქნა მსჯელობისათვის თავი მიენებებინა, რათა სისხლის ღვრა არ მოხდარიყო. დიდხანს ისმოდა ლანძღვა-გინება, მაგრამ რა გაეწყობოდა.

მილიციის ჩვენდა სამწუხაროდ გამოვიდა ჯარისკაცი ვიქტორ გოგუა, რომელმაც გლეხებს მიმართა ცეცხლი სიტყვით. როგორც იქნა გლეხები დაითანხმეს და მათ დააბრუნეს თავის ნებით გასაღები. ბოლოს გამოირკვა სარწმუნო წყაროებიდან, რომ ბ-ნი გომართელი იყო არჩეული სოფ. მახრისის კომისართ და ბ-ნი მჭედლიშვილი მის თანაშემწედ. ამ ვაჟბატონებმა შეადგინეს მფრინავი რაზმი რვა კაცისაგან, რომლებიც დანავარდობდენ სხვადასხვა სოფლებში და გზავნიდენ ოჯახებში მუქარის წერილებს, რომლებშიაც სთხოვდენ ფულს. როგორც გამოირკვა, კომისარი ბ-ნი გომართელი, მისი თანაშემწე მჭედლიშვილი ეს რვა კაცისაგან შემდგარი მფრინავი რაზმი, სულ ყველა კონტროლებია ყოფილან და შურს ძიობენ.

ჯარისკაცი ვ—ია.

—

ძველი-სენაკი (სამეგრელო). 17 ივნისს მოხდა ძველი სენაკის რაიონის სოფლის კომისართა და მდივანთა პირველი კრება. კრებამ აირჩია თავმჯდომარეთ მ. ჩხეტია და მდივნათ მ. კაჭარავა, დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) კომისარ-მდივანთა კავშირი—დამოკიდებულება; 2) კომისრების ნივთიერად უზრუნველყოფა; 3) კრებების დანიშვნა მოწყობა; 4) კომისრების უფლება აღმასრულებელ კომიტეტების სხდომებზე და 5) პრეზიდიუმის არჩევნები. პირველ ყოვლისა კრებას მიესალმა ამხ. მ. ჩხეტია. კრებამ მიიღო რა მხედველობაში ამხ. კომისრების მოხსენებები ერთხმათ დაადგინა: 1) მიეცეს გადამწყვეტი ხმა ყოველ კრებებზე კომისრებთან ერთად მათ მდივნებსაც; 2) მიენდოს რაიონის კომისარს აღძრას შუამდგომლობა მაზრის კომისარიატის წინაშე, რომ უკანასკნელმა მაზრის კომიტეტის დადგენილებით გამონახოს საშუალება სოფლის კომისრების ნივთიერ უზრუნველსაყოფად; 3) მოხდეს კომისრების და მდივნების კრება თვეში ერთხელ; 4) მიენდოს რაიონის კომისარს აღძრას შუამდგომლობა მაზრის კომისარიატის წინაშე, რომ სოფლის კომისრებს სრული უფლება მიეცეს კომიტეტების სხდომებზე მონაწილეობის მიღებისა გადამწყვეტი ხმით; 5) ამ დადგენილებების შინაარსი ეცნობოს მაზრის დანარჩენ რაიონის კომისარებს, რომ თვითეულ რაიონის სოფლის კომისართა კრებამ მხარი დაუჭიროს ამ დადგენილებას; 6) იქნეს არჩეული კომისართა კავშირის პრეზიდიუმში: მიხეილ პეტრეს ძე ჩხეტია, ალექსი თულაძე და მიხეილ კაჭარავა.

ძველი სენაკის რაიონის კომისარ-მდივანთა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ პეტრეს ძე ჩხეტია.

—

სად. ჯუმათი (გურია). 9 ივნისს აქ შესდგა ეგალეურის ორგანიზაციის წევრთა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რამენ აფხაზავა და მდივნათ ვლადიკო ჩხაიძე. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოირკვა შემდეგი: ადგილობრივი ფერშალი მისე ჩხაიძეს შემდეგი ბოროტ-მოქმედება ჩადენია: 1911 წელს ამხ. ვანო ჰეიშვილს მოხელეებით სახლის სახურავში საბეჭდავი და ძველი მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები შეუყარა. შემდეგ მოქმული სტრაჟნიკებით დაასხა თავს და დააჭერინა. დამსჯელ რაზმს მასთან ჰქონდა ბინა. მას სხვა მრავალი რამ ბრალდება კიდევ ეხლა მას შეუძენია ვინტოვკის თოფები და ბრაუნინგის რევოლვერი. რევოლიუციის საწინააღმდეგო რაზმის შესადგენათ და სხვა. 13 ივნისს თანახმათ დადგენილობისა სუფსის რაიონულ კომისარმა დააპატიმრა ხსენებული ფერშალი და გაგზავნა ოზურგეთის კომიტეტში. მაგრამ 22 ივნისს ის განთავისუფლეს.

ნარიმან მაკაშვილი.

—

დ. ანაკლია. 25 ივნისს შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი. გააკეთეს მოხსენება თფილისიდან დაბრუნებულმა დელეგატმა ს. გურგენიძემ და კოოპერატივის დღე. ხაზურ ზანიამ მოხსენებით ხალხი კმაყოფილი დარჩა. შემდეგ გაიმართა კამათი. რამოდენიმე წვრილმან საკითხების შემდეგ კომისარმა ნ. გეგენავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მნიშვნელობა „თავისუფლების სესხისა" და მოუწოდა შეძლებისდაგვარათ ხელი შეეწყოთ სესხის განაღდებისათვის, რასაც საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება, იქვე ერთმა ვაჭარმა და ხეთმა ამ ვეჭრებმა 1600 მ. მოაწერეს ხელი და აგრეთვე ბევრმა განაცხადა სურვილი ახლო მომავალში მოეწერათ ხელი.

დუტუ უნიაშვილი.

პროვინციის ცხოვრება.

აგარაკი წაღვერი როგორც ყველგან, აქაც კოოპერატიული დუქანი ასაზრდოებს უმეტესათ, როგორც მოაგარაკეთ, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებს. თუმცა წელს გამგეობა ცოტას სუსტობს, ფქვილი თავის დროზე საყოფი ვერ დაუყენებიათ, ამიტომ მოსალოდნელია ხალხი უპუროთ დარჩეს. მოაგარაკეთა კრებამ აირჩია კომიტეტი და დაავალა საჩქაროთ მიიღოს ზომები, რომ ხალხი უპუროთ არ დარჩეს. საპროდ. ბორჯომის კომიტეტმა მეტი ყურადღებით მოეპყრას ამ რაიონებს, რადგანაც მათ განკარგულებაშია ჩვენთვის სანოვაგის განაწილება. წაღვერის ფქვილი ახალციხეში გაუგზავნიათ როგორც გამოირკვა!..

აქ მოაგარაკენი წელს ბევრი მოდიან, რის გამო სახლის ქირა მატულობს. ზოგიერთი ვაჟბატონები სპეკულაციას ეწევიან, ქირაობენ ადრე სახლებს და შემდეგ ძვირათ აქირავებენ! ეს უნდა აეკრძალოთ მათ. აღწერიდან აღმოჩნდა, რომ ჯერ-ჯერობით მოსულა ორი ათასამდე სული მოაგარაკე. აქ არის მჟავე წყალიც, რომელიც როგორც ამბობენ სისხლნაკლულს უხდება. საზოგადო კრებამ დაადგინა მოაგროვონ ფული და გახსნან სამკითხველო, აგრეთვე ამისთვის შენობაც. კრებამ სურვილი გამოსთქვა შეძლებისდაგვარათ დაიხმარონ ადგილობრივი გლეხებიც და სეზონის შემდეგ სამკითხველო მათ დაუტოვონ, რომ ამით დაინტერესონ და კითხვას შეაჩვიონ. კრებაზე გამოირკვა აგრეთვე, რომ ადგილობრივი დუქნები და თვით კოოპერატივი ღია არის დილის 6 საათიდან ღამის ათ საათამდე. კრებამ ამაზე იქონია მსჯელობა და დაადგინა შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე, ისე როგორც ეს ყველგან არის დღეს შემოღებული. ვინც წინააღმდეგი იქნება იმას ძალათ დააკეტვინონ. აქ სანოვაგე საკმაოთ ძვირია: რძე 50 კ. ბოთლი, კარაქი 2 მ. 50 კ. გირვანქა, პური 15 კ. გამოიწერეს ნიხრი ბორჯომიდან, რითაც უნდა იხელმძღვანელონ როგორც გამყიდველებმა, ისე მყიდველებმაც. აქ ყველანაირი გაზეთები მოსდის კანტორა „განათლების" აგენტს და ყიდის 1 კ. მომატებით.

დია.

—

დ. ჩოხატაური. ივნისის 26 ჩოხატაურის თეატრის დარბაზში მოხდა ს. დ. პ. წევრთა კრება. კრებას დაესწრო 100 დე პარტიის წევრი და ბევრი გარეშე პირებიც.

ამხ. ა. ცინცაძის თავმჯდომარეობით კრებამ შეუდგა საქმეს. კრების მიზანი იყო ნანეიშვილისეულის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციისაგან გაზ. „ერთობა"-ში (№ 57) მოთავსებულ კორესპონდენციის გარჩევა, რომელშიაც გამჟღავნებული იყო ტიტე მშვიდობაძის შავრაზმული მოქმედება და გამოტანილი განაჩენი, რითაც ტ. მშვიდობაძე გამორიცხულ იქმნას პარტიიდან.

ტიტე მშვიდობაძემ, როგორც შეურაცყოფილმა, მიმართა ჩოხატაურის ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას, რომ გამოეძიებიათ, თუ რამდენად მართალი იყო ბრალდება. ორგანიზაციამ მას დაუნიშნა საგამომძიებლო კომისია. დაიბარეს ბრალმდებლები და მოსთხოვეს დამამტკიცებელი საბუთები ტ. მშვიდობაძის შავრაზმულობაში. ჩამოართვეს ჩვენება, როგორც მათ, ისე მათ მიერ დანიშნულ მოწმეებს და ასე დაწვრილებით გადაშინჯულ-გამოძიებული საქმის მოხსენება გააკეთა კრებას კომისიის სახელით ამხ. თ. ჩიჩუამ.

ამ კრებაზე მოწვეულ იყო ბრალმდებელ-მოპასუხე, თან ზოგი მოწმეებიც. კრებამ მოისმინა რა მოხსენება—ხელახლად აალაპარაკა როგორც ბრალმდებლები, ისე ბრალდებულიც. აგრეთვე შეეკითხენ რამდენიმე მოწმეს და კერძო დამსწრე პირებსაც, რაც არც ერთმა მათგანმა ტ., მშვიდობაძის შავრაზმული მოქმედება არ აღუნიშნავს. პირიქით ამტკიცებდენ, რომ ის (ტიტე) ძალზე პატიოსანია თავის მოქმედებით, რის შემდეგ გაიმართა საერთო კამათი და კრებამ ერთხმად გაამართლა ტიტე მშვიდობაძე. ნანეიშვილისეული ორგანიზაციის განაჩენი უკანონოთ აღიარეს.

კრებამ აგრეთვე გაამართლა იმავე ორგანიზაციისაგან კორესპონდენციაში, ტიტეს გვერდით შავრაზმელებათ მონათლული გიორგი ძნელაძე.

თავმჯდ. ა. ცინცაძე, მდივ. ირ. გოგოლაძე. კომისია: ალექსან. პურაძე, თეოფილე ჩიჩუა, გიორგი ჟღენტი.

კომიტეტ. წევრები: ალიხტრო ბერძენიშვილი, ილ. შარაშიძე, ბარტყუდა კალანდაძე.

—

სიღნაღის მაზრა. პარასკევს, 7 ივლისს, ქ. სიღნაღში დანიშნულია საზოგადო კრება სოფლის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლებისა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის რეორგანიზაციის გამო. ასარჩევია მაზრის კომისარი და ორი მისი თანაშემწე. ეს კრება დანიშნული იყო 5 ივლისს, მაგრამ საპატიო მიზეზის გამო 7 რიცხვისთვის გადიდდა. მოუწოდებენ სოფლის აღმასრულებელ კომიტეტებს აირჩიონ წარმომადგენლები და გამოგზავნონ აღნიშნულ რიცხვს.

— 6 ივლისს ქ. სიღნაღში მოხდება სოფლად მომუშავე სოციალ-დემოკრატ პროპაგანდისტების კრება. კრების მიზანია დამფუძნებელი კრების არჩევნები და ხალხში სამუშაო გეგმის შემუშავება.

— ქ. სიღნაღში სამი დღეა, რაც პურის ნაკლებობაა. მცხოვრებლებში უკმაყოფილება გაისმის. იმედია, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი არ დააყოვნებს პურის გამოგზავნას.

— მთელს მაზრაში კარგა ხანია შაქრის ხსენება არ არის. ამავე დროს სხვადასხვა ავადმყოფობამ იჩინა თავი, სოფლის გლეხკაცი ჩაის წამლათ ხმარობს. ხვეწნა მუდარას საშველი არ აქვს. მივაქცევთ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ყურადღებას, რომ ერთი ვაგონი შაქრის ფხვნილი როგორმე მოახერხოს და მოაწოდოს მაზრის მცხოვრებლებს.

— სიღნაღის მაზრაში პურის ყანები უკვე გაიპო. ზოგმა ოლოში პური მოიმკო შიმშილის გამო. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ სიღნაღის მაზრა, ეს პურის ქვეყანა, წელს დაიმშევა, რადგანაც ყანები სეტყვამ გაანადგურა. ზოგიერთ რაიონში მოსავალს არაუშავს რა, მაგრამ ეს ცვარია ზღვაში შედარებით მოთხოვნილებასთან. რადგანაც ახალმა მთავრობამ პურის მონოპოლია გამოაცხადა, სასტიკათ აკრძალულია კერძო პირებზე პურის გაყიდვა. ამიტომ ვაფრთხილებთ სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებს და ჩარჩებს, რომლებიც დაძრწიან პურის საყიდლად, რომ პური ჩარჩებს არ მიყიდონ და არც ჩარჩებმა იყიდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩარჩებს პური ჩამოერთმევა და ფულიც დაეკარგებათ.

—

სად. კარაკლისი. (ყარსის ლიანდაგზედ). 27 ივნისს საზარელი ამბავი მოხდა აქ. მატარებლით ერევნიდან მოვიდა სოხუმის მცხოვრები მარკოს ოროპსიმი თავის ცოლით და პატარა ქალით. უადგილობის გამო მეორე კლასის ვაგონში დასხდარიყვნენ მესამე კლასის ბილეთით, აქ მას გადაახდევინეს მეორე კლასის ღირებული ფული აღებული ბილეთის გამოკლებით. ამასობაში მატარებელიც დაიძრა და თვით მარკოს ოროპსიმი მოასწრო შესვლა ვაგონში თავის პატარა ქალით და ცოლი კი ხან ერთ ვაგონის კიბეს მიადგა შესასვლელათ, ხან მეორისას, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ვერ ავიდა, ბოლოს იქვე ვაგონის კიბეზედ მდგომმა 18 წლის ყმაწვილმა სურენ აბრამიანცმა წაავლო ხელი (უნდოდა ვაგონში შეეყვანა), მაგრამ საუბედუროდ, ქალს ფეხები დაუსხლტა—ყმაწვილიც თან გადიტანა და ორთავენი ერთად მოჰყვნენ ქვეშ გაქანებულ მატარებელს. აბრამიანცი იმ წამსვე გარდაიცვალა და ოროპსიმის ცოლმა კი 5 წუთის შემდეგ დალია სული.

—

შემოქმედი. (გურია), კვირას 18 ივნისს ადგილობრივი სკოლის ეზოში მოხდა შემოქმედის საზოგადოების კრება. კრებას უნდა აერჩია გლეხთა ყრილობაზე დასასწრებლათ დელეგატი და გადაეწყვიტა საკითხი უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის შენობის აგების შესახებ. დელეგატათ აირჩიეს ამხ. ფრიდონ ჭ ნუყვაძე. სასწავლებლის შენობის აგების შესახებ გადაწყდა: აიგოს ექვს ოთახიანი ხის შენობა მომავალ სექტემბრისათვის, რომელიც ამ დღეებში გაიცემა საჯარო ვაჭრობით.

გომის მთის სეზონი ჯერ არ გახსნილა გამგეობა პურის ფქვილს ეხლა დაეძებს.

შემოქმედის კოოპერატივის საქმე ძლიერ ცუდათ მიდის, რადგან გამგეობა ნაკლებ ენერგიას იჩენს საქმეში.

გაზეთის სასარგებლოთ.

შეცდომის გასწორება: ჩვენ გაზ. მე № 74 გამოცხადებული შემდეგი: მივიღეთ იაგორ კალანდაძისაგან პარტიულ სტამბის სასარგებლოთ 87 მ.,—უნდა იყოს 97 მან.

—

რედაქციამ მიიღო თფილისის მილიციონერთა შორის შეგროვილი პარტიული სტამბის შესაძენათ 66 მან. და 50 კ.

ფული შეაგროვა ლევან რურუამ.

წერილები რედაქციის მიმართ.

„თფილისის ლისტოკის" რედაქციას.

ამ გაზეთის პირველ მკათათვის ნომერში გორელი კორესპონდენტი სწერს—ყოფილმა მექილმა ნინიძემ გორის ბანკი გაცარცვაო.

ეს უნამუსო ცილის წამებაა. ჯერ ერთი მე ყოფილი მექილი არა ვარ და მეორე—ბანკი არ გამიცარცვავს. საქმე ასე იყო: სამაზრო კომიტეტმა დაადგინა ეთხოვა ბანკისთვის ფული სესხათ ერთი დღით და თუ უარს იტყოდა იძულებითი სესხი მოეხდინათ. ეს დადგენილება განვახორციელეთ და სესხს ხელი მოვაწერეთ მე და კომიტეტის თავმჯდომარე ალნიაშვილმა. ბანკის გამგეობა ეყრდნობოდა ბანკის წესდებას, ჩვენ კიდევ მაზრის აუტანელ მდგომარეობას უფულობის გამო. ეს იყო სულ. ამ ფაქტის შესახებ, რომელიც იმ დღესვე ვაცნობე კომისარ ა. ჩხენკელს, შეიძლება სხვადასხვა აზრის იყვნენ, მაგრამ იმის მტკიცება, ვითომ მოხდარიყოს ძარცვა და ისიც ნინიძის მხრით ყოვლად შეუწყნარებელია.

გორის სამაზრო კომისარი კ. ნინიძე.

მადლობას უცხადებთ თომა ფაჩულიას, რომელმაც შეაგროვა თავის ამხანაგ და ნაცნობთა შორის ს. ქვალონის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოთ ოცდაერთი მანეთი.

ს. ქვალონის წიგნ. სამ. გამგეობა.

მადლობას უცხადებთ ჩემის და რწმუნებული ჩემდამი მრევლის მხრით ფილიპე ჯალაღანიას, რომელმაც ჯუმითის (სამეგრელო) ორ-კლასიანი სამრევლო სკოლას შესწირა ორმოცდაათი მანეთი, უკვე განსვენებულისა დაუვიწყარი და ძვირფასი დედის ხსოვნის აღსანიშნავად.

ჯუმითის ორ-კლასიანი სკოლ. გამგე
დეკანოზი სამსონ თოდუა.

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: 3 ივლისს ქ. ზუგდიდში, კიოსკში დამრჩა უბის წიგნი, უვადო ბილეთი, 70 მ. 50 კ. ფულად და სხვა საბუთებიც, რომლებიც ხეთის უმაღლეს დაწყ. სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფეს ვარლამ ივანეს ძე ჩომახიას ეკუთვნის და ყოველივე უკლებლათ მიეცით, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნი მას.

დ. ანაკლიის კომისარი ნ. გეგენავა.

ცნობები

ზარნაბა გვასალია მსახურობდა მე-18-ე კავკასიის მომქმედ ჯარში, მსროლელთა პოლკში 2-ე როტაში 2-ე ზვოდში. თუ რამე იცით მის შესახებ გვაცნობეთ შემდეგის მის მართით: Кавказская Армія 14-ый Рабоч. Баталіонъ 6 ая рота Василію Абакелія.

—

იოსებ პავლეს ძე ქეიშვილი მსახურობდა მე-28 კავკასიის იატპნი ბატალიონში მე 3 როტაში, მე-4 ზვოდში. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობოს Караургани 13 Кавказскій Раб. Баталіонъ, 3 рота 3 взводъ Варламу Чейшвили.

—

ჯარისკაცი თომა სპირიდონის ძე ტრაპაიძე მსახურობდა კავკასიის მე-18-ტე მსროლელთა პოლკში მე 8 ე როტაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ შეაცნობეთ ამ მისამართით: დ. ჩოხატაური დათიკო გიორგის ძე ტრაპაიძეს.

—

ალექსანდრე ხარაიშვილი მსახურობდა მე-2 კავკასიის მესაზღვრე პოლკში 1 როტაში 1 ზვოდში. გვაცნობეთ მის შესახებ შემდეგი მისამართით: Тиф. Кав. Карп. парку полевой ж. д. 2 рота Ивану Т. Ломидзе.

—

ვასილ აფრასიონის ძე კვაჭანტირაძე (ოზურ. მაზრა ს. ხვარბეთიდან) მსახურებდა პენზის მსროლელ დრუჟინაში. ვსთხოვთ ყველას, ვინც რამე იცის იმის შესახებ გვაცნობონ ამ მისამართით: სად. ნატანები. მერია. ხვარბეთის ბიბლიოთეკაში ბენია თოიძეს.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ბოხოხაძე.

გამოვიდა საკოოპერაციო ბიბლიოთეკის № 11
„50 წლიწადი სამომხმარებლო კოოპერაციისა რუსეთში",
მ. ლ. ხეისინისა, თარგმანი ი. გ—აიასი.
შეიცავს 84 გვ. იყიდება 2 აბაზათ. კოოპერატივებს და წიგნის მაღაზიებს ეთმობა 20—25°/₀ დაკლებით მხოლოდ არა ნაკლებ 25 ცალისა.
მისამართი: Кутаисъ. Редакція журнала Коопераціа".
„აქედანვე შეიძლება კოოპერატივებისა და მათი კავშირების დასაარსებლათ საჭირო სანიმუშო წესდებათა გამოწერა. 10—10

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 20 მანეთი, ნახევარი წლით 11 მან., სამი თვით 6 მან., ერთი თვით 2 მან.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალ-დემოკრატ"-ზე

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მან., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ", Тутку Гварамія. სხვა ადრესით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაბაევის შესახვევი № 1.